საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 26 დეკემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **500 მანეთი**. ცალკე ნომერი ყველგან **20 მანეთი**, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **20 მანეთი**. მეოთხე გვერდზე **15 მანეთი**, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) **500 მანეთი**. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება **ერთობის ქ. № 4**, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—82

№ 296

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

№ 296

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი ქმარი ივანე ყაფლამის ძე, შვილები: სვიმონ, იონა, პისტი კალანდაძისა, ელენე რატიშვილისა და თეოდორა კობალაძე. სიძენი ერმილე იესეს ძე კალანდაძე და ვლადიმერ ალექსანდრეს ძე რატიშვილი, შვილიშვილები ლეონიდი, ნადეჟდა და ლუბა კალანდაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარი

ოლინკა ლევანის ასული კობალაძისა

40 დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია სამებაში (გურია) შაბათს, 25 დეკემბერს. (4125 1—1)

ღრმათ დამწუხრებული სიმონ რემანოზის ძე ელიავა შვილით ვალიკოთი; სოფრომ ფვიტინის ძე ხორავა თავის მეუღლით თებროლე მოსეს ასული ხორავა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პირველის ძვირფასი მეუღლის მეორესი დედის ხოლო უკანასკნელის საყვარელი შვილის

ელენე სოფრომის ასული ელიავას

ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 28 დეკემბერს ამა წლის, დიდუბის ეკლესიის გალავანში. (4129—2—1)

გულ დათუთქულნი მეუღლე ლუბა ნესტორის ასული რატიანისა, დედა იულია ექვთიმეს ასული, ძმები მიხა, ილიკო და ბიძაშვილი აკაკი ნესტორის ძე სირაძენი, ცოლის ძმა ვალიკო ნესტორის ძე რატიანი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. ხაშურში, რკინის გზის ეკლესიაში დღეს, დეკემბრის 26 დილის 10 საათზე გადახდილი იქნება ორი წლის წირვა და ძმათა სასაფლაოზე პანაშვიდი, შულავერის ფრონტზე 1918 წ. დეკემბრის 26 გმირულად დაღუპულ

ალექსანდრე თადეოზის ძე სირაძის

სულის მოსახსენიებლად. (4132—1—1)

დამწუხრებულნი მშობლები ბესარიონ ქრისტეფორეს ძე და მარიამ ანდრიას ასული დვალიძეები, ძმა ლევანი და დები: ანნა, თამარი და ქეთო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ დასასწრებლად

გოგი დვალიძის

გარდაცვალების ორმოცი დღის შესრულების პანაშვიდზე, რომელიც გადახდილ იქნება წმ. ნინოს სასაფლაოზე, კვირას, 26 ქრისტეშობისთვის, 11 საათზე. (4133—1—1)

უდროოთ დამწუხრებულნი ცოლი ფუმანკო, დედა ეკატერინე, რძლები ელისაბედ, მაშო და თამარი; დები ელენე, ივლიტა, მარიამ და ნინო, ძმები ვასილ, ვალოდი, გრიგოლ და მაქსიმე, ძმის ასული მარგალიტა, დისშვილი თამარა, სიძეები: გერასიმე წულაძე, ივანე კანდელაკი და ბესარიონ შენგელაია და სიმამრი აფრასიონ ხოფერია აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ძვირფასი

ზაქარია ქადეიშვილი

რომლის დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული—პანაშვიდები ყოველ საღამოს ქ. ფოთში საკუთარ სახლში. (4138—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი დედა ელენე, მამა იოსები, ძმები: სტეფანე, ვლადიმერი, ილია და გიორგი, დები: პელაგია და მარიამი, რძალი მარიამი შვილებით იგორით და თეიმურაზით მარგველაშვილნი აუწყებენ ნათესავებს ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ სამშაბათს 28 დეკემბერს 1920 წელს (ახალი სტილით) გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი და უდროვოდ გარდაცვლილის

ლიზიკოსი

ქ. ბათომში სასაფლაოს ეკლესიაში დილით 10 საათზე და ქ. თფილისში ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში საღამოს 5 საათზე.

კვირას, 26 დეკემბერს, 11 საათზე, საფურჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორწლინახევრის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაღუპულ

გრიშა ნიკოლაიშვილის

მოსახსენებლად, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობმეგობართ და ამხანაგებს გაუბედურებული მშობლები გოგუცა ზალის ასული და იასონ ივანეს ძე ნიკოლაიშვილი, და ელენე და სიძე დავით იოსელიანი. (4139—1—1)

თბილისის მაზრის ერობის მოსამსახურეთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ამა წლის 25 დეკემბერს ხანმოკლე და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამგეობის წევრი

ესტატე გიორგის ძე აბალიშვილი

დაკრძალვის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული. (4146—1—1)

თბილისის მაზრის ერობის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ამა წელს 25 დეკემბერს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამგეობის წევრი

ესტატე გიორგის ძე აბალიშვილი

დაკრძალვის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული. (4146—1—1

ჭიათურის ბანკის დამფუძნებელთა საორგანიზაციო კომისია

ამით აუწყებს ბანკის აქციონერებს, რომ ამავე ბანკის დამფუძნებელ წევრთა

საზოგადო კრება

მეორეთ არის დანიშნული 28 ამა დეკემბრისთვის დღით სამშაბათს ქ. ჭიათურაში ადგილობრივ პროგიმნაზიის შენობაში დილის თერთმეტ საათზე განსახილველათ შემდეგი კითხვებისა: 1) საორგანიზაციო კომისიის მოხსენება, 2) საკითხი ძირითადი თანხის გადიდების შესახებ, 3) ხარჯთა აღრიცხვის დამტკიცება. (ნ. 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

სამშაბათს, დეკემბრის 28-ს

ფრონტის დღე

თეატრში

წარმოდგენა და ოპერეტკა

სამუსიკო დარბაზში

კაბარე

ღამის 3 საათამდე.

მთელი დასი, „ელამი ჯიმის" მთელი შემადგენლობით.

დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები კასაში. (ნ. 1—1)

„ეშმაკის მათრახი"

მიიღება ხელის მოწერა 1921 წლისათვის

ჟურნალი თვეში ეღირება 200 მან.

გამოწერა შეიძლება მხოლოდ სამი თვით.

მისამართი: თფილისი, რუსთაველის პროსპ. № 24. (3—3)

აკაკი პაპავა

სოლეილ-დორ

მოთხრობათა კრებული

წიგნი პირველი.

გამოცემა „სახელოვნო" ცენტრისა.

წიგნი გამოვა საახალწლოდ. (ნ. 5—3)

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა

აცხადებს

კონკურსს

თავის ცენტრალურ საავადმყოფოში შემდეგ თავისუფალ ადგილებზე: 1) საავადმყოფოს დირექტორის ჯამაგირი 12000 მან. თვეში, ბინა, გათბობა და განათება. 2) ტერაპევტიული განყ. გამგე ექიმის ჯამაგირი 12000 მან თვ. 3) ამავე განყოფილების ორი ორდინატორის ჯამაგირი თითოს 12000 მ. თვ. 4) ქირურგიული განყ. ორი ორდინატორის ჯამაგირით 12000 მ. თითოს თვ. 5) საბებიო განყ. გამგე ექიმის ჯამაგირი 12000 მან. თვ. 6) ვენერიული და კანის გამგე ექიმის ჯამაგირი 12000 მან. თვ. 7) თვალის განყ. გამგე ექიმის ჯამაგირი 12000 მან. თვ. 8) ბაქტერიოლოგი-პროზექტორის ჯამაგირი 12000 მან. თვ. 9) კბილის განყოფილების გამგე ექიმის ჯამაგირი 12000 მან. თვ. გარდა ჯამაგირისა ექიმები იღებენ დაწესებულ ულუფას შრომის მაგიდიდან და ერობიდან. მსურველთ უნდა გამოგზავნონ თხოვნები curiculim vitae ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილების სახელზე. თხოვნების გარჩევა მოხდება 26 დეკემბერს ექიმთა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლის თანადასწრებით.

(ნ. 6—1) **ქუთაისის ერობის გამგეობა.**

ქუთაისის ერობის ცენტრალური საავათმყოფო

(ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალი).

გაიხსნა პირველ ოქტომბრიდან ამა წლისა შემდეგი განყოფილებით:

1) ქირურგიული	120 საწოლით.
2) ტერაპევტიული	140 „
3) გინეკოლოგიური და საბებიო	30 „
4) კანის და ვენერიული	50 „
5) გადამდებ სნეულებათა	40 „
6) თვალის და კბილის	20 „

საავადმყოფოს უფროს დოსტაქრათ მიწვეულია მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი პრივატ-დოცენტი ა. ვ. ტიხონოვიჩი.

განყოფილებებს განაგებენ სპეციალისტი ექიმები.

(ნ. 6—1) **ქუთაისის ერობის გამგეობა.**

განცხადება

ვინიდან შრომის სამინისტროში აუარებელი თხოვნები შემოდის, რომ მან ნება დართოს ამა თუ იმ სადგურიდან

შეშის გადმოზიდვა

შრომის სამინისტრო ამით აცხადებს, რომ შეშის გადაზიდ-გადმოზიდვა სრულიად

თავისუფალია

და არავითარ ნებართვას არ საჭიროებს. (ნ. 1—1)

სახელმწიფო ოპერა

კვირას, 26 დეკემბერს

ტოსკა

ორშაბათს, 27 დეკემბერს **ფრონტის დღე**. დასაწყისი 8 საათზე. (ნ. 1—1)

ამიერ-კავკასიის ბანკი

ამით აცხადებს, რომ 30 ამა დეკემბერს, დღის 12 საათზე, ბანკის შენობაში, ლორის-მელიქოვის ქ. № 5, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

დაგირავებულ საქონლისა ვადა გასულ სპეციალ ანგარიშების №№ 5, 7, 29, 38, 46 და სხვ. (4141 1—1)

ფრონტის დღე

ქართულ კლუბში

(დამფუძ. კრების ქუჩა)

დღეს, 26 დეკემბერს გაიმართება გრანდიოზული საღამო „შობის ხე" დრამის, ოპერის და „ელამი ჯიმის" საუკეთესო ძალთა მონაწილეობით: ნ. ვ. ბოიარსკაისა, ე. ცეხანოვსკისა, ა. ბალაბანი, ნ. ვოლკოვსკისა, ა. ერმოლინსკისა, მ. მორდკინი, ფ. ნიროვი, ბრ. პოჟიცკაიასი, დ. დროზდო-პოლიაევისა, ი. სარაჯიშვილი, დ. სტრიშევსკისა, ი. საბინინი, მ. ქიაურელი, ც. ამირაჯიბი, ნ. დავითაშვილი, თ. ჭავჭავაძე და სხვ.

კონფერენსიე: კურიხინი, ყანჩელი, პაოლო იაშვილი.

საღამოს დიასახლისი ქ-ნი გეგეჭკორისა.

კლუბი საგანგებოთ მორთული და გამთბარი იქნება.

სტუმრების შეკრების დრო საღ. 8 საათ.

ცენტრალური სახელმწიფო სამეცნიერო არქივი

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 30 დეკემბერს დილის 10 საათზე ყოფილ საოლქო საინტენდანტოს მართველობის შენობაში (ნიკოლოზის ქ. № 51)

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება

1) საარქივო საქმეთა მნიშვნელობა დაკარგული ქაღალდები 4,000 ფუთამდე, 2) მატერიის „ობლოჟკები" დაახლოებით 10,000 ცალი, 3) კარდონის და წიგნების ყდები დაახლოვებით 100 ფუთამდე.

შეჯიბრება დაიწყება შემდეგი ფასებით: ფუთი ქაღალდი, 600 მან. ცალი მატერიის „ობლოჟკისა" 20 მან. და ფუთი კარდონი 1500 მან.

ვისაც სურვილი აქვს შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღოს მან უნდა წარმოადგინოს სალერბო მარკები—დაკრული განცხადება ცენტრალურ არქივის დირექტორის სახელზე შემდეგი მისამართით: ყოფილი სამხედრო-საოლქო სასამართლო (ოლღის ქ. № 48), ხოლო საჯარო ვაჭრობის დღეს კი გამყიდველ კომისიის თავმჯდომარის სახელზე, და მასთან უნდა წარმოადგინოს საწინდრად 10% ტი საქონლის ღირებულებისა.

ქაღალდი გაიყიდება პარტიობით არა ნაკლები 100 ფუთისა. მატერიის „ობლოჟკები" ერთ პარტიათ, და კარტონი არა ნაკლები 10 ფუთისა, თვითეული პარტია გასაყიდ მასალის დათვალიერება შეიძლება 27, 28, 29 დეკემბერს ყოფილ საინტენდანტო სამმართველოს შენობაში დილის 10—12 საათ. (4135—2—1)

კ. ნინიძის გამოსვლა

ოცდა ხუთ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენი პარტია არსებობს, და ამ დროს განმავლობაში მის წიაღში ადგილი არ ჰქონია ისეთ აღმაშფოთებელ ფაქტს, როგორიც არის ყოფილი ამხანაგის ბ-ნ კირილე ნინიძის გამოლაშქრება დამფუძნებელი კრების 24 დეკემბრის სხდომაზე. ეს გამოლაშქრება იყო არა უბრალო დარღვევა პარტიული დისციპლინისა, ეს იყო პარტიული გამცემლობა, ეს იყო პარტიის წევრის მხრით თავის პარტიაზე მოღალატური თავდასხმა და ამ თავდასხმის მიზნით გამოყენება ყოველი წვრილმანისა, რასაც კი ოდესმე ადგილი ჰქონია პარტიულ ცხოვრებაში, ყოველი მისი მტკივნეული ადგილის გაღიზიანება და გაღვივება. ბ-ნი კირილე ნინიძე უკანასკნელ თავის გამოსვლაში დაუნდობელი იყო, როგორც მტერი პარტიისა; იგი ყოველს ღონეს ხმარობდა, რომ გაეზვიადებინა და სოც.-დემ. პარტიის საზიანოდ გამოეყენებინა, მისი ყოველი წვრილმანი ნაკლი, ურომლისოდაც შეუძლებელია დიდი პოლიტიკური პარტიის ცხოვრება და მისი გამოლაშქრების ასეთ მნიშვნელობას ხაზი გაესვა იმ ფაქტით, რომ მისი სიტყვა აღმშფოთებელ რეპლიკებს იწვევდა მისი ფრაქციული ამხანაგების რიგებში და მას ერთხმათ და ენერგიულად ტაშს უკრავდნენ და აქეზებდნენ სოც.-დემოკრატიის მტრები მარცხნიდან და მარჯვნიდან: მისი პატიოსნება და ზნეობრივი სიფაქიზე საეჭვო გახდა მისი ფრაქციისათვის და იგი მხოლოდ ამ ფრაქციის მტერთა რიგებში პოულობდა თავისი საქციელის დამცველებს. ეს იყო ჭეშმარიტი დემონსტრაცია იმ მოღალატეობისა, რომელიც ბ. ნინიძემ ჩაიდინა სოც.-დემოკრატიის მიმართ. ის კმაყოფილების და სიხარულის ხარხარი, რომელიც გაისმოდა მისი სიტყვის დროს სოც.-დემოკრატიის მტერთა შორის, საუკეთესო ზნეობრივ დაღათ დარჩება ბ. ნინიძის შუბლზე.

ბ. ნინიძის გამოლაშქრების ზნეობრივი დაუშვებლობა კიდევ უფრო ცხადი ხდება, როდესაც გაეცნობი იმ საბაბს, რომლის გამოც მან გადადგა ეს ნაბიჯი. მთელი ეს ალიაქოთი მან ასტეხა თავისი პირადი საქმეების გარშემო. როგორც მთავრობის მიერ წაკითხული დოკუმენტებიდან, ისე თვით ბ. ნინიძის სიტყვებიდანაც აშკარათ გამოირკვა, რომ მას მოუნდომებია მთავრობის დაუკითხავად იმ ბინის დაჭერა, რომელიც მთავრობის განკარგულებაში იყო. ფარულად, მთავრობის ზურგს უკან იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა კერძო პირებთან იმ ბინის გამო, რომელიც მთავრობას სჭირდებოდა დიპლომატიური საჭიროებისათვის; თავის კერძო სარგებლობის გულისათვის ბ. ნინიძე ჩვენი სახელმწიფოს საჭიროებას ფეხქვეშ სთელავს. ეს ფაქტი უდავოა. ეს აშკარა გახდა ბ. ნინიძის უკანასკნელ გამოლაშქრებიდან. თავისი ნებით, დაუკითხავათ შეჭრა იმ ბინაში, რომელიც მთავრობას სჭირდებოდა, ყოვლად დაუშვებელია უბრალო მოქალაქისათვისაც კი, და დეპუტატზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. შეიძლება კაცმა ჩაიდინოს მოუფიქრებლათ, ან უცოდინარობით, მაგრამ ამის გამო ალიაქოთის ატეხა, ამის გამო საკითხის იქ გამწვავება, რომ დაივიწყო სახელმწიფოს საჭიროებაც, პარტიის ინტერესებიც, მოქალაქეობრივი მოვალეობაც,—ეს ისეთი საქციელია, რომელიც არა მარტო სოც.-დემოკრატებს შორის

ფრონტის დღე თფილისში

ფრონტს, ზურგი დედა-ქალაქი მხურვალე თანაგრძნობით შეეგება და გუშინ 25 დეკემბერს ყველა მოქალაქემ განურჩევლად კლასისა და მდგომარეობისა ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი.

პრესა

ყველა გაზეთებმა მხურვალე, გრძნობით აღსავსე წერილები უძღვნეს ფრონტს. გაზეთები დასურათებული იყო ფრონტის სურათებით და ამ დღისთვის შედგენილი საგანგებო ლოზუნგებით. ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტმა საგანგებოთ გამოსცა ამ დღეს გაზეთი „ფრონტის შობის ხე“, სადაც მოთავსებულ იყო ჩვენი საუკეთესო მწერალ პუბლიცისტების ნაწარმოებნი ფრონტის მნიშვნელობაზე. გაზეთი დასურათებულ იყო საუცხოვო სურათებით მხატვარ ვალერიან სიდამონ-ერისთავის მიერ. ჯარისკაცთ და გვარდიელთ გაზეთი უფასოდ ურიგდებათ.

შობის ხე.

დილა ადრიანვე სასახლის წინ მოირთო საგანგებო დ. ბორჯომიდან ჩამოტანილი უზარმაზარი შობის ხე, დატვირთული ფრონტის საჭირო ნივთიერებით. ეროვნულ ალმებით და ელექტრონის ათას ფერ ლამფებით გაჩირაღდნებული იყო შობის ხე. შობის ხის გვერდით საგანგებო ყუთები იყო ჩამწკრივებული შემოწირულ ნივთეულობათა მისაღებად. საგანგებო მაგიდებზე კომისიის წევრი მანდილოსანნი ყულაბებით შემოწირულ ფულს ღებულობდნენ და საგანგებო კარავში კვიტანციის ბარათები ეძლეობათ.

სასახლის ბაღის აივნიდან სამხედრო მუსიკამ შუადღისას ეროვნულ ჰიმნით გახსნა ფრონტის დღე და შემდეგ გამუდმებით ასრულებდა სხვადასხვა მოტივებს რიგ რიგად. შობის ხესთან დილიდანვე დაიწყო შემოწირულებათა მიღება. გაჩქარებით გზათ მიმავალი მოქალაქე ჩერდებოდა შობის ხის წინ და თავის მოვალეობას იხდიდა ზოგი მათგანი უხვად 50 და 100 ათას მანეთსაც სწირავდა. პატარა ბავშვებს მოჰქონდათ ყუთებთან მშობლებისაგან გამოტანებული ნივთები.

ქალაქის სხვად სხვა უბანში.

ქალაქის უმთავრეს პუნქტებში საგანგებო მაგიდებზე კომისიის წევრნი, მანდილოსანნი, ყულაბებით იღებდნენ შემოწირულებას ფულით და ნივთით. ყველა პუნქტზე მოქალაქენი დიდი ხალისით სწირავდნენ ფულსა და ნივთებს ისევე, როგორც მთავარ პუნქტზე სასახლის წინ.

ეტლები შემოწირული ნივთებით.

შუადღისას ქალაქის სხვადასხვა უბანში კომისიის წევრთა თანხლებით ჩამოიარეს საგანგებო ეტლებით და სავაჭრო მაღაზიებიდან და დაწესებულებებიდან შეაგროვეს ყველა ის შემოწირულებანი, რაც კი ფრონტს სჭირდებოდა. შემოწირულების მიღება დასრულდა ნაშუადღევს.

საღამოს.

საღამოს „შობის ხე“ გაჩირაღდნებული იყო ელექტრონის ლამფებით და კვლავ გრძელდებოდა შემოწირულებათა მიღება „არმაზში“ (ყოფილი ქიმერიონი) გაიმართა გრანდიოზული, საღამო.

ბათომიდან
(დეპეშა)

„ბათომის საზოგადოება დიდის თანაგრძნობით შეხვდა ფრონტის დახმარების საქმეს, შესაძლებელი არის დავკმაყოფილდეს ჩვენი რაიონის ნაწილები. საჩქაროთ გამოგზავნეთ თქვენი წარმომადგენელი, რომელიც დაგვეხმარება განაწილების საქმეში, რომ დღესასწაულებისთვის მოვაწოდოთ ნივთები შორეულ ნაწილებს“.

გამოიწვევს აღშფოთებას, არამედ ამ საქციელის ზნეობრივ ღირებულებას მაღლა ვერ დააყენებენ ის მტრებიც კი, რომლებიც დღეს ასე გაახარა ბ. ნინიძემ თავისი გამოსვლით.

ამ ინციდენტში ალაგი ჰქონდა ერთს სამწუხარო ფაქტს, რომელიც ბ. ნინიძემ საბაბათ გამოიყენა თავისი მოღალატური საქციელის გასამართლებლად: ეს იყოს—მისი ხელის შეხლება და ამით დეპუტატის ხელშეუხებლობის დარღვევა იმ მილიციონერების მიერ, რომლებიც გაგზავნილნი იყვნენ მთავრობის უფლებათა აღსადგენათ. ეს ფაქტი აღმაშფოთებელია და მისი გვერდის ავლა შეუძლებელია. მაგრამ მთავრობამ სრული დაკმაყოფილება მისცა როგორც დამფუძნებელ კრებას, ისე თვით ბ. ნინიძეს იმით, რომ მან სამსახურიდან დაითხოვა და სამართალში მისცა ამის ჩამდენნი. პოლიტიკური მხარე ამ ინციდენტისა ამით სრულიად და სავსებით ამოიწურა. და ბ. ნინიძე დარჩა გაშიშვლებული გარეშე პოლიტიკური საკითხისა და პირადი ინტერესების მორევში. სოც. დემოკრატიის მტერთა შეერთებული დახმარებით მან მოინდომა ამ მორევიდან ტალახის წინწკლები ესროლა პოლიტიკაშიაც, მაგრამ მისი ეს ცდა სრული მისი მარცხით გათავდა. ეს მარცხი იმავ დროს მისი პოლიტიკური კატასტროფაა. ასე დააფასებს მთელი ჩვენი პარტია ბ. ნინიძის მოღალატურს საქციელს.

ერთა ლიგა და ახალი სახელმწიფოები

როგორც ვიცით, ნოემბერში ქ. ჟენევაში მოხდა ერთა ლიგის პირველი ყრილობა. სხვათა შორის, აქ დაისვა სხვადასხვა ერების ლიგაში შესვლის საკითხი. როგორც ვტყობილობთ, ყრილობას უარი უთქვამს გერმანიისათვის. ჩვენ ვიცოდით და გვითქვამს კიდეც, რომ გერმანიის საკითხი ერთა ლიგის ყრილობაზე ასე გადაწყდებოდა, მიუხედავათ ყველა იმ უფლებებისა,—რომელიც მას ჰქონდა ამ საერთაშორისო დაწესებულებაში შესასვლელად. მარა, რადგან საქმე მხოლოდ ძალაზეა,—ამისათვის იქ გამეფებულმა მტრულმა აზრმა, რომლის მატარებელიც ანტანტა არის, ცენტრალურ ევროპის უდიდესი სახელმწიფო ჯერ-ჯერობით ერთა ლიგის გარეშე დატოვა. იქ შიშობდენ, რომ ლიგაში შესვლით გუშინდელ მტერს არ ესარგებლა თავისი მიზნებისათვის და არ შეემსუბუქებია თავისათვის იმ „გარანტიების“ შესრულების პირობები, რომელსაც დაჟინებით მოითხოვენ გამარჯვებული სახელმწიფოები. ლიგაში კი მიიღეს ბულგარეთი, რომელიც უძლური არის და არ აქვს რაიმე გავლენა და მისი როლიც იქ უმნიშვნელო იქნება.

არ მიიღეს ლიგაში არც უკრაინა, ადერბეიჯანი და არც სომხეთი. ეს არც არის გასაკვირალი, რადგან ეს „სახელმწიფოები“ დღეს არ არსებობენ არც ფაქტიურათ და არც იურიდიულათ.

მაგრამ ლიგის კარები დაუხშეს აგრეთვე ესტონიას, ლიტვას, ლატვიას და საქართველოსაც. ამ სტრიქონების ავტორისათვის არ იყო მოულოდნელი ჟენევის ყრილობას ასეთი გადაწყვეტილება და ეს გასაგებია ყველა იმ მკითხველისათვის, რომელიც გაეცნო ჩემ მიერ გამოთქმულ აზრს ბ-ნ გვაზავასთან ამ საკითხის შესახებ კამათის დროს.

წინააღმდეგ ეროვნულ-დემოკრატ ავტორისა, მე ვამტკიცებდი, რომ საქართველო ვერ გახდება ერთა ლიგის წევრათ მანამდე, სანამ ის იურიდიულათ არ იქნება ცნობილი-თქო. მე ვამბობდი, რომ ვერსალის ხელშეკრულების ავტორები „სახელმწიფოს“ ეძახიან იმ სახელმწიფოს, რომელიც არის, სრულუფლებიან, de Iure-თ აღიარებული სახელმწიფო. და ეს დებულება, სამწუხაროთ, გამართლდა.

იგივე ბედი ეწვია, როგორც ვთქვით, ესტონიას, ლიტვას და ლატვიას, რომელნიც იმავე პირობებში იმყოფებიან, რომელშიაც იმყოფება ჩვენი ქვეყანა.

როგორც კი მოახლოვდა საქართველოს რესპუბლიკის საკითხის გარჩევის მომენტი,—მაშინვე გამოფხიზლდენ ყველა მისი მტრები. ევროპის პრესა გაივსო უცნაური წერილებით, დეპეშებით, რომლის პირდაპირი მიზანი იყო ემოქმედა საზოგადოებრივ აზროვნებაზე და ამხაირათ ხელი შეეშალა საქართველოს ლიგაში შესვლისათვის. ასეთ კამპანიას სწევდენ ჩვენი ყველა ჯურის მტრები, განსაკუთრებით კი რუსები; თითქმის ყველა მიმართულების. ვრანგელისტები და ბურცევი ხომ არავითარ საშუალებას (ოქროსაც კი) არ ზოგავდენ ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველათ.—ამ კამპანიის გამო შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საქართველო სრულიად არ არსებობს, ის უკვე მოისპო. ჭეშმარიტებათ ასაღებდენ სტამბოლიდან და, ვინ იცის საიდან მოსულ დეპეშებს, სადაც აწერილი იყო ქემალისტების მიერ ბათომის აღება და ბალშევიკების შემოსევა საქართველოს რესპუბლიკის დანარჩენ ნაწილებში*). იყო ამას გარდა ცნობა, თითქოს ბალშევიკებს მოესყიდოს საქართველო ოქროთი და ეს უკანასკნელიც მათ გზას დასდგომოდეს. მართალია, „ცნობები“ ერთი მეორეს ეწინააღმდეგებოდენ, მარა მკითხველისათვის მაინც რჩებოდა შთაბეჭდილება საქართველოს მდგომარეობის გამოურკვევლობის და ეს საკმაო იყო.

რა თქმა უნდა იტალიის, საფრანგეთის და ინგლისის მთავრობამ ძლიერ კარგათ იცოდენ საქართველოს ნამდვილი მდგომარეობა, მაგრამ მათ ხმა გაკმინდეს და ამით საზოგადოებრივ აზრისათვის შეიძინეს ის „გასამართლებელი“ საბუთი, რის გამოც ლიგას უარი უნდა ეთქვა საქართველოს მიღებაზე. ნამდვილი მიზეზი კი იყო ის, რომ ანტანტას არ ჰსურდა საქართველო გამხდარიყო ერთა ლიგის წევრი, რადგან ამას მოყვებოდა მისი იურიდიული ცნობა და ეს კი მას ჯერ კიდევ **არ სურს.** იურიდიული ცნობა რომ აუცილებელი ყოფილა ლიგაში შესვლისათვის,—ამას აშკარათ ღაღადებს ის გარემოება, რომ ალბანეთი, რომლის დღევანდელი ფაქტიური არსებობა საეჭვოა, ერთხმათ იქნა მიღებული. მაგრამ მას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ის ქაღალდზე, de iure არსებობს და ეს ყველაფერია ერთა საზოგადოების „ბურჟუაზიულ დემოკრატიულ“ სულის ჩამდგმელებისათვის.

ეს ამბავი, რასაკვირველია, არ არის არც კარგი და არც ცუდი. ჩვენთვის ამ გარემოებით არაფერი არ შეცვლილა, უძლურ ლიგაში შესვლისთვის ჩვენ მაინც და მაინც დიდი სურვილი არ გვაქვს. ჩვენი მიზანია მივაღწიოთ იურიდიულ ცნობას, რაც, ჩვენის აზრით, არ დაგვიანდება, თუ ჩვენ ერთხელ კიდევ დავუმტკიცებთ ჩვენ მტრებსა და მოყვარეთ, რომ ძველებურად, მტკიცეთ, ვადგევართ ჩვენ გადაწყვეტილებას; რომ მოპოებულ თავისუფლებას ჩვენ არ დავსთმობთ არას გზით და მთელი ხალხი მთავრობასთან ერთათ შეეცდება რესპუბლიკის დაცვას და შიგნით ეკონომიურათ და მორალურათ კიდევ უფრო გამაგრებას.

ანტონ ყორყოლიანი.

---

*) საინტერესოა აღვნიშნოთ შემდეგი: ამ ჟამად აქ იმყოფება ბ. ბიუნე წით. ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელი. მან მიამბო, რომ როცა სტამბოლიდან აქ ჩამოსვლას აპირებდა. ისე დაარწმუნეს ის ბათომში ქემალისტების ყოფნის შესახებ, რომ ოსმალეთის წ. ჯვრისაგან კიდეც წამოუღია მოწმობა—ატესტაცია, რომლის საშუალებით ის უნდა შემოეშვათ ბათომში ქემალისტების პოლიციას.

კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

19 დეკემბრის სხდომა.

აკაკი ჩხენკელის სიტყვა.

(გაგრძელება).

დეპ. ლორთქიფანიძის გამოსვლამ არევ-დარევა შეიტანა მსჯელობაში; ჩვენ ვლაპარაკობთ კონსტიტუციაზე, ე. ი. რესპუბლიკის იურიდიულ ფორმაზე ის კი ლაპარაკობდა მაგ. მიწის სოციალიზაციაზე. ეს კითხვის ბრუნდით დაყენებაა, რაც არ მოწმობს ესერების სწორ წარმოდგენას კონსტიტუციაზე. ვთქვათ, თქვენ არ მოგწონთ ჩვენი აგრარული რეფორმა, გინდათ გაიყვანოთ თქვენი პროგრამა მიწის სოციალიზაციისა, მაგრამ რა შუაშია აქ კონსტიტუცია, რომელიც წარმოადგენს ჩვენი მსჯელობის საგანს? დავუშვათ ერთ წუთს, რომ მიწის სოციალიზაცია არ ეგუება დღევანდელ ჩვენს ვითარებას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ჩვენი ხალხის 80 პროც. მეტი მესაკუთრე გლეხობაა და მიწის სოციალიზაცია მისთვის მიუღებელია; თავი და თავი ეს მაინც არაა, არამედ ის, რომ კონსტიტუციის ფორმა და რომელიმე ეკონომიური რეფორმა ორი სხვადასხვა ცნებაა, რომლის ერთმანეთში არევა დაუშვებელია როგორც მეთოდოლოგიურათ, ისე არსებითად.

მე ვთქვი, ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომელიც ჩვენ გვინდა შევიტანოთ ჩვენს კონსტიტუციაში, ეს საზოგადოებრივი წარმოების გაჩაღება-მოწყობა არის. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ სახელმწიფო უნდა გამოვიდეს უაღრესათ სამეურნეო ორგანიზაციად. აქ არის სიმძიმის ცენტრი. ამაში არ დაგვეთანხმებიან ნაციონალ დემოკრატები და ეს იმიტომ, რომ ეკონომიურ ცხოვრებაში ისინი მომხრენი არიან ცნობილ ლოზუნგის „laissez faire, laissez passer“ (შენგელაია. გეთანხმებით! კედია: არა, ბატონო, არა ვართ!) არ დაგვეთანხმებიან იმიტომ, რომ სახელმწიფო მათ წარმოდგენილი აქვთ, როგორც მარტო წესიერების დამცველი, რომელიც დარაჯობს მოქალაქის საქმიანობას, ხოლო თვითონ არავითარ ღირებულებას არა ქმნის. ეს ასე იყო მართლაც წინეთ, სახელმწიფო უძღვებოდა მარტო პოლიტიკურ საქმეებს, ჩვენ კი გვინდა, რომ ის თვითონ წეეოდეს საკუთარ წარმოებას და აღებმიცემობას სხვა და სხვა დარგში, და არა მარტო სახელმწიფო, არამედ თვითმართველობაც: ერობა, მუნიციპალიტეტი, თემი იმავ სახელმწიფოს ხელმძღვანელობით. საზოგადოებრივი მეურნეობა ჩვენი რწმენით, გზას გაუკაფავს იმ წესწყობილებას, საითკენაც ჩვენ მივილტვით.

ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ ასეთი მიზანი არც ერთ ქვეყნის კონსტიტუციას არ დაუსახავს, ამ მხრივ მართლაც ჩვენ განვსხვავდებით სხვებისაგან და ამაში მართალია დეპ. გვაზავა. რასაკვირველია, საზოგადოებრივი მეურნეობა არ გულისხმობს კერძო ინიციატივის გაუქმებას. ასეთი რამ სცადეს ჩრდილოეთში და ჩვენ უკვე ვიცით შედეგი. ბოლშევიკებმა დაანგრიეს მთელი რუსეთის წარმოება და ახლა თვითონვე ეპატიჟებიან ამერიკის და ევროპის კაპიტალისტებს აიღონ რუსეთში ბუნების სიმდიდრეთა კონცესიები და გააჩაღონ წარმოება კერძო საკუთრების ნიადაგზე და რუსის მუშების ყვლეფით! აღსრულდა ჩვენი წინასწარმეტყველება, რომლითაც მივმართავდით ჩვენ ბოლშევიკებს ჯერ კიდევ 1917 წ., რომ ისინი რუსეთს უცხო კაპიტალისტების კოლონიად აქცევენ.

ჩვენ ვერ გავყვებით რუსეთის კვალს, ამისათვის ჩვენ ნაკლებ ფანტაზიორები ვართ, ვინემ ესერები. სამწუხაროდ ჩვენ არც ისე განვითარებული ვართ ეკონომიურად, რომ გვქონდეს თვალსაჩინო რიცხვი ფაბრიკა-ქარხნებისა, რომლის განსაზოგადოებრივობა შეიძლებოდეს. არა, ჩვენ უნდა შევქმნათ თვითონ ფაბრიკა-ქარხნები, გავაჩაღოთ წარმოება, არამც თუ არ უნდა შევზღუდოთ ამისათვის კერძო ინიციატივა, პირიქით, ხელიც შევუწყოთ მას, რამდენათაც ეს ეთანხმება რესპუბლიკის საერთო ინტერესებს.

დეპ. ლორთქიფანიძემ სთქვა, რომ, იმას, რაც თქვენ გიწერიათ კონსტიტუციის პროექტში, ძველი რუსეთის კანონებიც გულისხმობდაო, ე. ი. მაშინაც შეიძლებოდა კერძო საკუთრების სოციალიზაციაო. მე არ მიკვირს ასეთი მსჯელობა იმ დეპუტატისაგან, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს იურიდიულ მეცნიერებაზე. რუსეთის ძველი კანონით მართლაც შეიძლებოდა საკუთრების იძულებითი შესყიდვა, მაგ., რკინის გზის ლიანდაგის გაყვანის მიზნით, მაგრამ თქვენ თუ გგონიათ, რომ ამით ნიკოლოზ მეორეს იგივე სურდა, რაც ჩვენ, ძლიერ შემცდარი იქნებით. ჩვენ ვამბობთ წარმოების ამა თუ იმ დარგის, რომელიც ამისათვის მომწიფებულია. განსაზოგადოებრივობაზე და ცხადია, რა მიზანს ვისახავთ ამით.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ უვიცია ის სოციალისტი, რომელიც ფიქრობს ვითომ სიმდიდრის განაწილება სოციალიზმს მოასწავებდეს. არა, წარმოების განსაზოგადოებრივობა, აი რაა ჩვენი ძირითადი დებულება.

ესერები გამოვიდნენ შრომის უფლების დამცველად და ფიქრობენ ახალი რამ სთქვეს. პირიქით, ეს მოთხოვნა კარგა მოძველებულია და პირველად დააყენეს იგი წვრილ ბურჟუაზიულ იდეოლოგებმა. ლუი ბლანს და სხვებს მართლაც ეგონათ, რომ ისინი შესძლებენ შრომის უფლების განხორციელებას კიდევ კაპიტალისტურ ხანაში, რაიც უტოპიად იქნა მარქსის მიერ აღიარებული და ახლა კი ხომ მთლათ შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს იგი. ამის წინააღმდეგს იტყვის ის, ვისაც კაპიტალის და შრომის შეთანხმება შესაძლებლად მიაჩნია. (შენგელაია: ეს თქვენი გზა არის!) ჩვენ ვერ ავყვებით ამ უტოპიას, ვერ ვეტყვით მუშებს, რომ ისინი კაპიტალისტურ ხანაში თავის შრომის უფლებას სავსებით განახორციელებენ, და ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას და მიუღწეველ დაპირებების წარა-მარა მიცემას ვერ ვკისრებთ. შრომის სრული უფლებაც და ბატონობაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სოციალისტურ ხანაში.

კონსტიტუცია ჩვენთვის თვით მიზანი როდია, იგი არის საშუალება ჩვენი მახლობელ და შორეულ მიზნების განსახორციელებლათ. ჩვენი საბოლოო მიზანი რომ სოციალიზმია, ეს არაა სადავო. (შენგელაია: ძალიანაც სადავოა!) მხოლოდ ერთი არ უნდა გვავიწყდებოდეს,—ეს ის, რაც ჟორდანიამ სთქვა. სოციალისტური გარდაქმნა არ შეიძლება მარტო საქართველოში მოხდეს, ჩვენ უნდა ვადევნებდეთ ამ მხრივ თვალყურს ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებს, კვალ და კვალ მივსდევდეთ მათ (შენგელაია: მხამხარეულათ გადმოვიღოთ!) მე ამას ვამბობ არა მარტო დეპუტატებისათვის, არამედ მუშების გასაგონათაც. არიან შეიძლება ჩვენს მუშებშიც ისეთები, ვინც ფიქრობს, რომ საქართველოში შეიძლება ისეთი სოციალური ზომების განხორციელება, რომლის გატარებას ვერ ახერხებენ თვით ინგლისში ან გერმანიაში. ვინც ასე ფიქრობს, ის იმეორებს ბოლშევიკების საბედისწერო შეცდომებს. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ კონსტიტუციის შესამუშავებლათ უნდა ვისარგებლოთ ევროპის გამოცდილებით, მით უფრო მეტის უფლებით ითქმის იგივე, როცა კითხვა ეკონომიურ და სოციალურ კანონმდებლობას ეხება. პოლიტიკურათ ჩვენ შეიძლება საკმაოთ მომზადებული ვართ, მაგრამ ეკონომიურათ ჩვენ თითქმის ყველა კულტურულ ერებს ჩამოვრჩებით. ამიტომ გაცილებით მეტი სიფრთხილე გვმართებს ამ სფეროში, გაცილებით მეტი დაკვირვება და შესწავლა სხვა ქვეყნების ცხოვრებისა. ეკონომიურ კანონების გადალახვა დაუსჯელათ არავის ჩაუვლის.

კონსტიტუციის პროექტში სავსებით აღიარებულია შრომის ყოველმხრივი დაცვის პრინციპი, და ის უეჭველათ უნდა გატარდეს შეძლებისამებრ. ამ სფეროშიც ჩვენ არ შეგვიძლია განვახორციელოთ იმაზე მეტი, რაც სხვაგან შესაძლებელია განხორციელდეს.

(დასასრული იქნება)

საუბარი კარლო ჩხეიძესთან

(დასასრული).

ანტანტა და ქემალისტები.

— როგორ უყურებს ანტანტა და კერძოთ ინგლისი ოსმალეთის ნაციონალისტების მოძრაობას, არის თუ არა ცდა ქემალ-ფაშასთან შეთანხმებისა და თუ არის, რამდენათ შესაძლებელია რეალურათ მათ შორის შეთანხმება?

— როდესაც ჩვენ თფილისიდან პარიზში მიმავალნი სტამბოლში ჩავედით,—შთაბეჭდილება ისეთი მივიღეთ, რომ ოსმალეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, აღარ არსებობს. ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა აზრი ჰქონდა პირველად ანტანტას ოსმალეთის შესახებ: უარყოფითი დამოკიდებულება ოსმალეთისადმი იქამდი მიდიოდა, რომ ფიქრობდნენ ოსმალეთის სავსებით გაძევებას ევროპიდან. როგორც სხვა ბევრ საკითხებში,—ამ საკითხშიაც ანტანტა გამოდიოდა გამარჯვების შედეგების შეცდარათ გათვალისწინებით. თავიდანვე ცხადი იყო, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში უმთავრესი საკითხებათ რუსეთის და ოსმალეთის საკითხი იყო. დღეს, მე მგონია, არის ყველა ნიშნები, იმისა რომ ოსმალეთის საკითხი სულ სხვანაირად შეტრიალდა. და თუ სევრის ხელშეკრულობის გადასინჯვის საკითხი ფორმალურად ჯერ არ დამდგარა, ფაქტიურად განხორციელება ამ ხელშეკრულებისა არ მომხდარა და ის დარღვეულად უნდა ჩაითვალოს. უეჭველია, ამ ნიადაგზე უკვე არსებობს მოლაპარაკება ერთის მხრივ ანტანტის წარმომადგენლებსა და მეორეს მხრივ ქემალის მთავრობას შორის.

— მოსალოდნელია თუ არა კონფლიქტი ბალშევიკებსა და ქემალ ფაშას შორის?

— თვით ის გარემოება,—ამბობს კ. ჩხეიძე,—რომ ოსმალეთის საკითხი უკანასკნელ ხანებში სულ სხვა სახეს იღებს და სევრის ხელშეკრულობის გადასინჯვის გარშემო ლაპარაკი უკვე დაწყებულია, ჩვენ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათ შორის შეიძლება თავი იჩინოს უთანხმოებამ, თუ კი ზემოთ აღნიშნული მოლაპარაკება შეთანხმებით გათავდა.

რა გვიხსნის ეკონომიური კრიზისიდან?

— რა გამოიყვანს ჩვენს ქვეყანას იმ მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან, რომელსაც ის ამჟამად განიცდის?

— ჩვენ ვიცით, რომ მთელს მსოფლიოში თანდათან იზრდება ეკონომიური კრიზისი წარმოებაში. საქონლის წარმოება თვით ინდუსტრიალურ ქვეყნებში კლებულობს. და ეს ხდება სწორედ იმ დროს, როდესაც საქონლის მოთხოვნილება ბაზარზე უსაზღვროა.

რა არის ასეთი პარადოქსალური მდგომარეობის მიზეზი? უმთავრესი მიზეზი ამისა ის არის, რომ ომის შემდეგ მსოფლიოს უდიდეს ნაწილში წარმოება და ვალიუტა (ანუ ფულის კურსი) სრულიად დაეცა და ამ ნაწილს არ აქვს საშუალება საჭირო საქონელი შეიძინოს იმ ქვეყნებიდან, რომლებიც მდიდარი არიან ინდუსტრიალური ნაწარმოებით (ინგლისი და ამერიკა). ამერიკა, მაგ., იძულებულია შეამციროს საქონლის წარმოება მიუხედავათ იმისა, რომ მას არც ნედლი მასალა და არც მუშა ხელი არ აკლია და ტრანსპორტიც მოწესრიგებული აქვს. ეს იმიტომ, რომ დოლარის კურსი მეტად მაღლა სდგას და საქონლის შეძენა დოლარის საშვალებით ხელმისაწვდომი არ არის ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც ვალიუტის კურსი დაცემულია. აქედან თავისთავად ცხადია თუ რა არის მიზეზი იმ საშინელი ეკონომიური კრიზისისა, რომელსაც განიცდის მსოფლიოს უდიდესი ნაწილი და კერძოთ ჩვენი ქვეყანა. და სწორედ ეს საერთო მოვლენა, საერთო მიზეზი უნდა ვიქონიოთ ჩვენ სახეში, როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. მსოფლიო წარმოება, თუ მას არ მოელის სრული განადგურება, უნდა გამოვიდეს ამ მოჯადოვებულ წრიდან.

რა ნაირად უნდა მოახერხოს ეს წარმოებამ?

ამისათვის საჭიროა, რომ შეძლებულმა ქვეყნებმა, როგორც არის, მაგ. ინგლისი, კრედიტის თუ წარმოების მოწყობის სახით თავის კაპიტალი დააბანდონ ჩამორჩენილ ქვეყნებში. ამ დებულების რეალობა ადვილათ გასაგები იქნება თუ მხედველობაში მივიღებთ, მაგალითად, იმ გარემოებას, რომ დღეს ინგლისში კაპიტალი იმდენათ დაბეგრულია, რომ მისთვის უფრო ხელსაყრელია ამ ჩამორჩენილ ქვეყნებში მოკიდოს წარმოებას ხელი. ამის დამადასტურებელი ფაქტები ჩვენ გვაქვს.

ჩვენ ამ გარემოებით უნდა ვისარგებლოთ და ხელი შევუწყოთ ჩვენში უცხო კაპიტალის შემოსვლას. მართალია, დღეს კაპიტალის ამ სწრაფვას ჩამორჩენილ ქვეყნებისაკენ წინ ეღობება მრავალი დაბრკოლებები, პოლიტიკური თუ სხვა ხასიათისა, მაგრამ ობიექტიურ მდგომარეობის გამო ის იძულებულია ეცადოს შევიდეს ჩამორჩენილ ქვეყნებში.

აქედან ცხადათ სჩანს, რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი ვალიუტის მოწესრიგებით, გაუმჯობესებით. ვალიუტის გაუმჯობესება კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ გვექნება შესაფერი პირობები წარმოების ასაყვავებლათ. ყოველივე სხვა გზა ამ შემოხვევაში უტოპია იქნება.

დამფუძნებელი კრება

23 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

პ. საყვარელიძე ათავებს თავის საბოლოო სიტყვას კონსტიტუციის შესახებ. მისი სიტყვა ცალკე იქნება მოთავსებული.

შემდეგ კრება გადადის სოც.-რევოლიუციონერების ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვაზე დეპუტატ კირილე ნინიძისათვის მილიციონერების მიერ შეურაცხყოფის მიყენების და ბინის შეუვალობის დარღვევის შესახებ.

მთავრობის სახელით ამ საკითხის შესახებ განმარტებას იძლევა იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე,** რომელიც აცხადებს, რომ არც მთავრობას მთლიანად, არც მთავრობის რომელიმე წევრს მიზნათ არ ჰქონია დამფუძნებელი კრების წევრის—კ. ნინიძისათვის შეურაცხყოფის მიყენება. ამიტომ მთავრობა მომხდარი ფაქტის გამო გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას და აცხადებს, რომ დამნაშავეთა წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

შ. ნუცუბიძე (ს.-ფ.) აცხადებს, რომ მთავრობის განცხადება დამაკმაყოფილებელი არ არის. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ მოხდა ეს ინციდენტი. მთავრობამ უნდა მოგვცეს განმარტება საქმის ფაქტიური მხარის შესახებო. სხვათა შორის, მას არა ნორმალურად მიაჩ[illegible] ის გარემოება, რომ მთავრობის თავმჯდომარე ერევა ბინების გაწესრიგების საქმეში.

ა. ჩხენკელს კი პირიქით,—მთავრობის განცხადება საკითხის სავსებით ამომწურველათ მიაჩნია. ის ამბობს, რომ დეპუტატების შეუვალობის დარღვევას ადგილი ჰქონია. მთავრობამ ეს განაცხადა და თავისი მწუხარება გამოსთქვა ამის გამო. ამასთანავე მთავრობამ ისიც სთქვა, რომ დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი. ამით, მე მგონია, სავსებით ამოწურულია ამ საკითხის პოლიტიკური მხარე.

სპ. კედია (ნ.-დ.) და **ლ. შენგელაია** (ს.-რ.) მთავრობისაგან მოითხოვენ დაწვრილებით განმარტებას მომხდარი ინციდენტის ფაქტიური მხარის შესახებ.

ვ. ჯუღელი (ს.-დ.) აღნიშნავს, რომ ოპოზიციას, როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ აინტერესებს ინციდენტის ფაქტიური მხარე და არა დეპუტატის შეუვალობის კანონის დარღვევა. მთავრობის განცხადება ყველას აკმაყოფილებს, გარდა სკანდალების მოყვარულთა.

ს. დადიანი (ს.-ფ.) მოუწოდებს დამფუძნებელ კრებას მომავალში უფრო ფხიზლად დაიცვას დეპუტატის შეუვალობის კანონი.

კ. ნინიძე პირადი საკითხისათვის აცხადებს, რომ ის ბინა, რომლის გარშემო მოხდა ინციდენტი, მან დაიჭირა სრულიად კანონიერად, რაც ამის შემდეგ მოხდა,—ამაზე ლაპარაკი მეტად მეძნელება. მაგრამ მთავრობის პასუხი მე პოლიტიკურის მხრივ მაკმაყოფილებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობა დამნაშავეთ დასჯის და დაისჯებიან არა „მესრეები“, არამედ ნამდვილი დამნაშავენი.

სიტყვა ეძლევა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს—**გრ. ლორთქიფანიძეს,** რომელიც კრებას აცნობს წამოყენებულ საკითხის შესახებ ფაქტიურ მასალას, საიდანაც ირკვევა, რომ დეპუტატი ნინიძე ცდილა დაეჭირა ის ბინა, რომელიც მთავრობის განკარგულებაში ირიცხებოდა და რომელიც დანიშნული იყო ერთ-ერთ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლობისათვის. მიღებულ იქნა ზომები იმისათვის, რომ ხელი შეეშალოთ ნინიძისათვის ამ ბინის დაკავებაში და აი ამ დროს მოხდა ეს სამწუხარო მოვლენა,—დეპუტატის შეუვალობის დარღვევა. ამის გამო მთავრობა უცხადებს თავის მწუხარებას და პასუხისგებაში აძლევს დამნაშავეებს. რაც შეეხება საქმის პირველ მხარეს,—ნინიძის მიერ უკანონოთ სხვისი ბინის დაკავების ცდის წინააღმდეგ მიღებულ ზომებს,—ამ ნაწილში მთავრობას თავისი მოქმედება სავსებით სწორად მიაჩნია.

კ. ნინიძე ხელმეორეთ გამოდის და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის საპასუხოთ სულ სხვა ნაირად აშუქებს საქმის ფაქტიურ მხარეს. ის ამტკიცებს, რომ მან ბინა სრულიად კანონიერად დაიჭირა და არ არსებობს ისეთი კანონი, რომლის ძალით მთავრობას უფლება ჰქონდეს თავის განკარგულებაში ბინები იქონიოს.

შემდეგ **ნ. ჟორდანია** აღნიშნავს, რომ ის, როგორც მთავრობის თავმჯდომარე, მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად იძულებულია ჩაერიოს ბინების მოწესრიგების საქმეში. გარდა ამისა ის აცხადებს, რომ მთავრობის განკარგულებაში ყოველთვის არის რამდენიმე ბინა სახელმწიფოს საჭიროებისათვის. ის ბინა, რომელიც დაიჭირა დეპუტატმა ნინიძემ,—ირიცხებოდა მთავრობის განკარგულებაში და ის დანიშნული იყო ერთ ერთ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლისათვის. შემდეგ მთავრობის თავმჯდომარე აღნიშნავს საქმის ფაქტიურ მხარეს და განმარტავს იმ გარემოებას, რომელმაც ეს ინციდენტი გამოიწვია.

დასასრულს კამათში მონაწილეობას იღებენ **ბ. ჩხიკვიშვილი. ს. ჯიბლაძე, გრ. ვეშაპელი** და **მ. ხოჭოლავა** კამათის დასრულების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი ფორმულა ს.-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი:

„მოისმინა რა მთავრობის განმარტება სოც. რევოლიუციონერთა ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვაზე მილიციელთა მიერ დეპუტატის პიროვნების და ბინის შეუვალობის კანონის დარღვევის შესახებ და მიიღო რა დამნაშავეთა კანონიერ პასუხის გებაში მიცემა,—დამფუძნებელ კრებას მთავრობის განმარტება დამაკმაყოფილებლათ მიაჩნია და გადადის მორიგ საკითხებზე“ (სდს).

მთავარ სახელოსნოში და დეპოში

(რკინის გზის ყრილობის დელეგატთა არჩევნები)

არჩევნები მთავარ სახელოსნოსა და დეპოში უკვე დამთავრებულია. შედეგიც ყველასათვის აშკარაა, გამარჯვება მას უნდა დარჩენოდა, ვინც იბრძოდა თავისუფლების და წითელი დროშის-

სთვის, ვინც აუარებელი მსხვერპლი გაიღო და დღესაც თავისუფლების დროშა ხელთ უპყრია და მიაქანებს სოციალიზმისაკენ.

რკინის გზის დემოკრატია, მიუხედავათ იმისა, რომ განიცდის ეკონომიურ გაჭირვებას, მაინც თავის ხელმძღვანელებს მიჰყვება, მან იცის რა არის უმთავრესი მიზეზი დღევანდელი ეკონომიური გაჭირვებისა, მას ადვილათ ვერავინ მოატყუილებს სხვადასხვა დაპირებებით.

სოც.-ფედერალისტებმა მთელი მთავარი სახელოსნო და დეპო დაჰფარეს პროკლამაციებით. ისინი ბევრ რამეს პირდებოდნენ მუშებს, სხვათა შორის, 20,000 მანეთს თვეში და ორ გირვანქა პურს სულზედ. ფიქრობდნენ, დაპირებებით და მოტყუილებით გადაიბირებდნენ გაძვალტყავებულ მუშებს, მაგრამ მოსტყუვდნენ ანგარიშში. ისინი აძაგებდნენ ორგანიზაციებს და მოუწოდებდნენ: თქვენ სოციალ-დემოკრატებმა არაფერი მოგცათ, თქვენ ისევ შიმშილ-ტიტველნი ხართ და როცა ჩვენ აგვირჩევთ გამგეობაში,—მაშინ ყველანი უზრუნველყოფილნი იქნებითო. მაგრამ მათ ლოთაიებს არავინ უგდო ყური, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბოლშევიკებს, რომლებმაც ხმა მისცეს მათ, ვინაიდან ისინიც მხოლოდ დაპირებით კვებავენ მუშებს.

მართალია, ჩვენ, მუშები უკიდურეს მდგომარეობაში ვიმყოფებით, მარა ეს არის არა გამგეობის ბრალი, არამედ—ექვსი წლის გამანადგურებელი ომის შედეგი.

მიმოხედით გარშემო სხვა რესპუბლიკებში ვინ არის ჩვენზედ უკეთეს პირობებში? პირიქით, ყველგან შიმშილობა და აუტანელი პირობები მეფობს. ჩვენ, მათთან შედარებით, სამოთხეში ვიმყოფებით.

მთავარ სახელოსნოში ითვლება 2149 მუშა-მოსამსახურე. მონაწილეობა მიიღო არჩევნებში 1282 კაცმა. ზემო აღნიშნულ რიცხვიდან 470 გვარდიელი ფრონტზედ იმყოფება, რომლებმაც მონაწილეობა ვერ მიიღო, 85 კაცი შუშის საჭრელათ არის სოგუდბულახში გაგზავნილი, ამათაც ვერ მიიღეს მონაწილეობა. დანარჩენი ზოგი შვებულებაში არის და ზოგიც ავადმყოფნი, რომლებსაც არ ქონდათ საშუალება მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში.

სოც.-დემოკრატების სიამ № 1 მიიღო 1207 ხმა, სოც. ფედერალისტების სიამ № 2 (ბოლშევიკების დახმარებით) 75 ხმა.

ყრილობაზე არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: 1) ვ. მაჭარაძე, 2) მ. ძამანაშვილი, 3) დ. ლორთქიფანიძე, 4) ს. ძნელაძე, 5) გ. ქელიძე, 6) ა. ჭყონია, 7) შ მამაცაშვილი, 8) ი. მანჯავიძე, 9) ვ. განზე, 10) ვ. პაპიაშვილი. 11) ვ. შავლოძე.

დეპოში ირიცხება 977 მოსამსახურე. მონაწილ. მიიღო არჩევნებში 585 კაცმა 79 გვარდიელი არის ფრონტზედ, რომლებმაც ვერ მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში, 85 კაც. დარჩა ადერბეიჯანში, მათაც ვერ მიიღეს მონაწილეობა. სოც.-დემოკრატების სიამ № 1 მიიღო 549 ხმა, სოც. ფედერალისტების სიამ №2—36 ხმა არჩეული არიან: 1) ლუკაშევიჩი, 2) ი. მანჯგალაძე, 3) დ. ბოჭორიშვილი, 4) ნ. ჩლაიძე, 5) ა. მარგველაშვილი.

ამ გვარათ, სოციალისტ-ფედერალისტების მოწოდებას „არც ერთი ხმა სოციალ-დემოკრატებს“ ო ჩვენ ვუპასუხეთ არა ბაქი ბუქობით, არამედ—საქმით: არც ერთი დელეგატი სოციალისტ-ფედერალისტებს,

გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიას,
გაუმარჯოს სოციალიზმს!..

ქ. ცომბიელი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

24 დეკემბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

ყრილობის უპარტიო დელეგატები. მოსკოვი, დეკ. 24. დილით კრემლში შედგა ყრილობის უპარტიო დელეგატთა სხდომა. განსახილველათ იყო დასმული შემდეგი საკითხები: 1) პროექტი დეკრეტსა „პოსევკომების“ შესახებ, 2) უპარტიოთა არჩევნები ს. ც. ა. კ. და სხვა კითხვები. სხდომას დაესწრო კალინინი. ყრილობის გლეხმა დელეგატებმა მოიწონეს კანონი. სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების კანონპროექტმა გულწრფელი გამოძახილი ჰპოვა გლეხებში. ყოველ მუხლს დაწვრილებით იხილავდნენ. დიდი ხნის კამათის შემდეგ კანონ-პროექტი მიიღეს შესწორებით. გლეხები მომხრე არიან ერთგვარი სამეურნეო გეგმისა. ნოვგოროდის გუბერნიის წარმომადგენელმა კითხვა მისცა იქ დამსწრე კალინინს: რას ნიშნავს დეკრეტის სიტყვები—„სასოფლო მეურნეობა ერთიანი გეგმით უნდა გატარდესო“—კალინინმა განმარტა, რომ სახელმწიფო ზრუნავს ყველა მეურნეების კეთილდღეობაზე. თურქესტანში მიდის მშვენიერი ბამბა, რომლის მოყვანაც ვოლგის ნაპირებზე ყოვლად შეუძლებელია. თურქესტანის გლეხებმა შეწყვიტეს თესვა ბამბისა, რომელიც ასეთს საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი მანუფაქტურისათვის. რესპუბლიკის მთავრობამ ამიტომ უნდა უბრძანოს თურქესტანს ბამბის თესვა. და იქ უნდა გაგზავნოს რუსეთის პური შიდა გუბერნიებიდან, ერთიანი გეგმა ნიშნავს იმას, რომ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებს მიეცემათ განსაზღვრული ამოცანა მათ განსაკუთრებული თვისებების მიხედვით. ვოლგის რაიონში დაითესება ხორბალი, ნოვგოროდის გუბერნიაში—სელი და სხვა ამგვარათ. ამის შემდეგ დელეგატებმა ერთხმათ მიიღეს რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების ერთგვარი გეგმა. უპარტიონი დიდხანს მსჯელობდნენ სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო იარაღებსა და სხ. გადასწყვიტეს მოითხოვონ, რომ დამკვრელ მუშაობათ გამოცხადდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათა შესაკეთებლათ საჭირო მუშაობა. გადასწყვიტეს ითხოვონ სასოფლო სამეურნეო მანქანების შესაკეთებლათ ქარხნებში დარჩენილი რკინეულობა.

საჭიროა სიცივისა და შიმშილის მოსპობა.

სამოქალაქო ომის შეწყვეტის დროს ყოველთვიურათ ჩვენ 10-ჯერ მეტი საქმე უნდა გავაკეთოთ, ვიდრე ერთი წლის განმავლობაში. ის უზარმაზარი ლაშქარი, რომელიც წინეთ ეომებოდა ვრანგელსა და პოლონეთს, ამ ჟამად უნდა გადავიყვანოთ შრომის ფრონტზე. დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი ამ ჟამად მოდის ჩვენთან დახმარების აღმოსაჩენათ და ხელოსან მუშებს გვიგზავნიან. საქონლის გაცვლა-გამოცვლა ჩვენ საშუალებას გვაძლევს შევიძინოთ სასოფლო მეურნეობის წარმოებისათვის და მეწველობისათვის საჭირო იარაღები. ჩვენი ყრილობა სწყვეტს მეურნეობის სახალხო პრაქტიკულ საკითხებს. ყოველი შემცდარი მუხლი გამოიწვევს დიდ პრაქტიკულ სიძნელეს. საბჭოთა მე 8 ყრილობა მეტისმეტათ საქმიანი და ერთი გრძნობითაა გამსჭვალული: „საბჭოთა ქვეყნებიდან განდევნოს სიცივე და შიმშილი“.

გერმანული ცნობები

ინგლისი და რუსეთი.

როგორც რუსეთის ისე ინგლისის ცნობები ამტკიცებენ, რომ ეკონომიურ საკითხებში უკვე აღარ არსებობს სიძნელენი, მაგრამ რადგან ბოლშევიკებს არ სურთ პოლიტიკური ვალდებულებები მიიღონ თავის თავზე, ამით ისინი ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენაზე უარს აცხადებენ. რაც შეეხება საბჭოთა ხელშეკრულების დადებას, ლონდონში მისი ოპოზიცია თანდათან ძლიერდება.

კომუნისტების დამარცხება.

ხემნიცში მელითონეთა ტრედიუნიონების არჩევნებში კომუნისტები დამარცხდნენ. გაიმარჯვეს სოც.-დემოკრატებმა.

ფრანგული ცნობები

მაროკკოში.

მაროკკოდან იუწყებიან: ტაზას ტომმა მორჩილება გამოაცხადა.

სესხი.

მიღებული ცნობების თანახმად, ახალ სესხზე ხელის მოწერისაგან ჯერ ჯერობით შემოვიდა მილიარდი და 160 მილიონი ფრანკი.

ახალი ამბები

დღეს, დილის 10 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სასწრაფო სხდომა.

◆ **მთავრობის განკარგულებით** მანგლისში გაიგზავნა განსაკუთრებული კომისია პროკურორის ამხანაგის, სახალხო გვარდიის წარმომადგენლისა და სამხედრო სამინისტროს რწმუნებულის შემადგენლობით, რომელსაც დავალებული აქვს რევიზიის მოხდენა მე-12 ქვეითა ათასეულში და აგრეთვე გამომძიებელ ელიასოვის შეურაცყოფის საქმის გამოძიება და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა.

◆ **ანგორის მთავრობის წარმომადგენლობის განცხადება.** ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრების სრულუფლებიანი წარმომადგენლობა აცხადებს დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ მსოფლიო ომის შემდეგ ოსმალეთს არ გამოუშვია ახალი ქაღალდის ფული. ანგორის მთავრობამ არ გამოუშვია ყვითელი ქუპიურები 25 ოსმალურ გირვანქის ღირებულებისა, რომელსაც სამტრო პროპაგანდის მიზნით „ქემალისტების ბანკნოტები“ უწოდეს. ამ ბანკნოტებს არავითარი ღირებულება არა აქვს. ისინი დაბეჭდილია საზღვარ გარეთ. ოსმალეთის ბანკმა არა ერთხელ გააფრთხილა საზოგადოება, რომ ეს ბანკნოტები არ შეეძინა. მათი გამოცნობა მეტად ადვილია, რადგანაც მათ აზის უხეში ბეჭედი, და განსაკუთრებული სურათი აქვთ.

◆ **ფრონტისთვის.** ამასთანავე გამოგზავნილ 12 ათას მანეთს ჩვენ მიერ ფრონტის სასარგებლოთ რკინის გზის საავადმყოფოში მუშა მოსამსახურეთა შორის შეგროვილს. ნ. ჩიჩუა, ა. ჯუმბურიძე. *)

◆ **თავდაცვის ფონდისათვის.** ძმ. ბ. და ს. არუთინოვებისაგან ქალაქის გამგეობამ მიიღო 150,000 მან.

◆ **დახმარება პეტროგრადიდან ჩამოსულ ქართველთ.** მოისმინა რა მოხსენება პეტროგრადიდან ჩამოსულ ქართველთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, მთავრობამ დაადგინა: გადასცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს 10 მილიონიან ფონდიდან ასი ათასი მანეთი პეტროგრადიდან ჩამოსულ ქართველთა დასახმარებლათ.

◆ **ქალაქთა კავშირის შუამდგომლობა** ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე საზღვარ გარეთ 50.000 ფუთ კაკლის და თხილის გატანის ნებართვის მიცემის შესახებ სამაგიეროთ ქალაქთა კავშირი პირობას იძლევა, რომ იგი რესპუბლიკისათვის აუცილებელ საქონელს შემოიტანს.

◆ **სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის შენობაში** (საპიორის ქ. № 23) კვირას, 26 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 ს. შესდგება გაერთიანებული კრება ყველა სცენის მოყვარეთა, რომლებიც კი იმყოფებიან სახ. გვარდ. მუდმივ ნაწილებში.

◆ **ჟურნალ „მუშათა ცხოვრების“** რედაქციის კანტორა მოაგონებს თავის ხელის მომწერთ პირველ იანვრამდე უთუოდ გაასწორონ ანგარიშები. კავშირს, რომელიც პირველ იანვრამდე ანგარიშს არ გაასწორებს, ჟურნალი აღარ გაეგზავნება.

◆ **მეოთხე რაიონული კოლექტივი,** დღეს 26 დეკემბერს, დილის 11 საათ. საბურთალოს მუშათა კლუბში, იწვევს საბურთალო-ახალშენის პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საზოგადო კრებას. კრებაზე პოლიტიკურ მომენტზე მოხსენებას გააკეთებს ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში** სამშაბათს 28 დეკემბერს, საღამოს 5½ საათზე მარქსისტთა ეკონომიურ წრეში წაკითხული იქნება მოხსენება მარქსის ღირებულების თეორიიდან. მოხსენებას დაიწყებს ამხ მ. ხოჭოლავა.

◆ **საბურთალოს მუშათა კლუბის გამგეობა** აცხადებს კლუბის წევრთა საყურადღებოდ, რომ დღეს დეკემბრის 26 ნაშუადღევის სრულ 2 ს, კლუბის ბინაზე შესდგება წევრთა საზოგადო კრება.

◆ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება.** დღეს, დეკემბრის 26-ს, დილით 12 საათზე, სასოფლო სამეურნეო ბანკის დარბაზში შესდგება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. კრების საგანი: 1) ს. გორგაძის მოხსენება—ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან, 1850—1920 წ. (გაგრძელება), 2) ახალი წევრების არჩევა. კრებას გარეშენიც შეუძლიათ დაესწრონ.

◆ **ფეხსაცმელები ფოსტალიონთათვის.** მთავრობამ მოისმინა რა მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა ფოსტა ტელეგრაფის უწყების პროფესიონალურ კავშირის მიერ აღძრულ შუამდგომლობაზე დაბალ მოსამსახურეთათვის უფასოდ ფეხსაცმელების მიცემის შესახებ, დაადგინა: მოიწონოს პრინციპიალურად მოხსენება და ქუთაისის და ბათომის ფოსტალიონების მიერ აღძრული შუამდგომლობა ფეხსაცმლების მიცემის შესახებ დაიკმაყოფილოს.

ქრონიკა.

კუკიის მეორე კოლექტივის სხდომა შესდგება ორშაბათს, 27 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ავჭალის აუდიტორიაში.

— დღეს, 26 დეკემბერს, ორთაჭალის მუშათა კლუბის შენობაში დანიშნულია დილის 10 საათზე, ორთაჭალის რაიონის რეზერვში ჩარიცხულ პარტიულ ამხანაგების საზოგადო კრება, თუ საათზე არ შესდგა, მეორე კრება ინიშნება იმავე დღეს დილის 11 საათზე.

— კვირას, დეკემბრის 26, საღამოს 6 საათზე ქალთა 1 გიმნაზიაში შესდგება ქ. თფილისის ყველა სასწავლებლების მასწავლებელთა კრება.

— დღეს, 26 დეკემბერს, დილის 11 ს. ეროვნულ (ყოფ. ლ ფრეილინის) ქუჩ. № 11, შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების წლიური საზოგადო კრება, რომელზედაც დასწრება სავალდებულოა ყველა წევრთათვის.

„წითელ“ ადერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

„ძარცვა-გლეჯის კვირა“. ბაქოში ამას წინად დამთავრდა „ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის კვირა“—ოფიციალური ტერმინოლოგიით, „ძარცვა გლეჯის კვირა“—მოქალაქეთა გამოთქმით. ბაქოს ახალმა საბჭომ, რომელსაც წარუდგინეს ძირითადი მოთხოვნილება „საქმიანი“ ყოფილიყო, ეს თვისება მან თავის არსებობის პირველ დღეებიდანვე მეტად ენერგიულად გამოიჩინა. 7 დეკემბერს, პირველ სხდომაზე საბჭომ მოისმინა მოხსენება განსაკუთრებული კომისიისა, რომელსაც ევალებოდა მუშათა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „მოხდეს ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია“. ექსპროპრიაციის მოსაწყობათ ყველა კომუნისტური პროფესიონალური ძალები, დაახლოვებით 7 ათასი კაცი რამდენიმე დღის განმავლობაში ახდენდნენ მასიურ ჩხრეკას და „აბლავებს“, შედიოდნენ ბინებში, მიჰქონდათ ყველაფერი—სურსათ-სანოვაგე, ტანისამოსი, თეთრეული, ხალიჩები და სხ. ძვირფასი ნივთები, საწერი მანქანები, „კეროსინკები“, პურჩელი და სხ, ქონების პატრონებს რჩებოდათ მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა, ზოგიერთ კატეგორიებს, მაგ. მხოლოდ ერთი წყვილი თეთრეული. საშინელება მეფობდა ყველა სახლებში და ბინებში. ქონების ჩამორთმევას თან სდევდა შეურაცყოფა, იყო ბევრი ბოროტმოქმედებაც: „საექსპროპრიაციო ქონების“ დიდი ნაწილი მართლაც პირდაპირ წაიღეს, როგორც ნაძარცვი, „ობლავების“ მონაწილეებმა. ამ „ძარცვა-გლეჯას“ კვირის გამო გამოქვეყნებულია ბაქოს საბჭოს დიდი მოწოდება, რომელიც დაბეჭდილი იყო ბაქოს „კომუნისტ“-ში. იქ ნათქვამია: „ბაქოს პროლეტარიატის წინ დაისახა ახალი მიზანი, ერთის დაკვრით უნდა გასწორებოდა ის პარაზიტულ ბურჟუაზიას, ექსპროპრიაციის საქმე ბოლომდის მიეყვანა, რათა ამით რამოდენიმით მაინც გაუმჯობესებულიყო ბაქოს მუშების და ადერბეიჯანის ღარიბების მატერიალური მდგომარეობა. ანგარიშში გაუწია რა იმას, რომ ბურჟუაზიის დიდმა პროცენტმა მოახერხა საბჭოთა დაწესებულებებში სამსახურის შოვნა, ბაქოს საბჭომ საჭიროთ სცნო მოეხდინა მოსამსახურეთა ქონების აღწერა იმ პირობით, რომ ამ შემთხვევაში ქონებას ჩამოართმევდნენ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც ზედმეტი ქონება ექნებოდათ. მასიური ჩარეკა უკვე მოხდა. ბაქოს მუშამ ბრწყინვალეთ შეასრულა მასზე დაკისრებული საქმე. აღმოჩენილია აუარებელი საქონელი, ნაპოვნია ათ ფუთობით ოქრო და ვერცხლი“.

შემდეგ ამ მოწოდებაში ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა ისახავს რა მიზნათ ბურჟუაზიის ექსპროპრიაციას, ამავე დროს სრულიადაც არ მიისწრაფის და არ ჰკურს მშრომელ ინტელიგენციის მატერიალურ პირობების გაუარესებაო. ქონების ჩამორთმევისაგან თავისუფლდებიან ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები, წყლის და რკინის გზის ტრანსპორტის, ნავთის საქმის და არმიის მუშაკნი.

მაგრამ ყოველივე ეს უმეტეს შემთხვევაში ქაღალდზე დარჩა. უკვე ეხლა შეიძლება ასეთი მოვლენების ნახვა: მუშებმა, წითელ არმიელებმა და სხვა კატეგორიებმა, რომელთაც არ ეხებათ „ექსპროპრიაცია“ და რომლებსაც ერგებათ თავისი ნაწილი ამ „ექსპროპრიაციით“ ჩამორთმეულ ქონებიდან,—დაიწყეს უკვე წარმოება უნახავი სპეკულიაციისა ამ ნივთებით. წინანდელი პატრონები ისევ ჰყიდულობენ თავის თეთრეულს, ფეხსაცმელებს და სხ.

ჩვენი იურიდიული ცნობის გამო

(წერილი გერმანიიდან)

საერთაშორისო ქარტეხილის მიერ გამოწვეულ რუსეთის რევოლიუციონერ დუღილში იშვა დამოუკიდებელი საქართველო. ისტორიულმა აუცილებლობამ დაბადა ეს დამოუკიდებლობა და მის სათავეში სოც.-დემოკრატია მოაქცია. უკუღმა შემოტრიალებულმა რუსეთის რევოლიუციის ჩარხმა აიძულა საქართველოს რევოლიუციონერი დემოკრატია რევოლიუციის მიერ მონაპოვარის შესანარჩუნებლათ დასავლეთ ევროპისაკენ ებრუნებინა პირი. მალე სამი წელი შესრულდება, რაც ქართველი მშრომელი ხალხი რევოლიუციონურ ბრძოლაში გაწრთვნილ მუშათა კლასის მეთაურობით გაალმასებულ ომის ცეცხლში სჭედავს და აფოლადებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობას. დიდია და მასთან გმირული ეს ბრძოლა პატარა საქართველოსი, რომელიც დღემდე თავისი დამოუკიდებლობის იწყებიდან მშვიდობიანობის დაწყებისა მედგრათ იგერიებს შავი რეაქციისა და „წითელი სოციალიზმის“ აგვირთულ ტალღებს. მან ჰპოვა თავისი სახე შეინარჩუნოს; მან დღეს შექმნა ცხოვრების ახალი ფორმა, რომელიც მას საშუალებას მისცემს მის გეოგრაფიულ მდგომარეობასთან ერთად ევროპისა და აზიის სულიერათ შემაერთებლის როლი ითამაშოს და კაუცკის განცხადების (ეს განცხადება გაკეთდა კავკასიაში, როცა ვლ. ახმეტელმა ჩვენი პარტიის სახელით ბიუსტი მიართვა და საელჩოში მოიწვია პატივსაცემთ 1920 წლის ივლისის 30 ს.) თანახმათ გახდეს საჩვენებელი მაგალითი მთელი აზიისათვის იმ სოციალისტურ სამყაროში შეიქმნება, რომლის შენებაც უნდა ევროპიდან დაიწყოს და არა აზიიდან. ამიტომაც ისწრაფის საქართველო ევროპასთან სულიერათ და კულტურულათ დაკავშირებისათ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი დამოუკიდებელი არსებობისა და შექმნილი დემოკრატიული წყობილების განმტკიცება—შენარჩუნება მარტო ჩვენს ხელში არაა, არამედ იგი დამოკიდებულია საერთაშორისო რეალურ ძალთა განწყობილებაზე; მხოლოდ ეს ძალთა-განწყობილება დღეს არაჩვეულებრივ რყევა-დუღილის პროცესს განიცდის. ჩვენც ამ საერთაშორისო მდგომარეობის თვალთახედვის ისრით ვუქერეტავთ ჩვენს მოვალეობას და ვებრძვით შინ და გარეთ ჩვენი მდგომარეობის საბოლოოდ განსამტკიცებლათ. ჩვენ გვინდა ჩვენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას არა მარტო ფაქტიური არსებობა ჰქონდეს, არამედ იურიდიულ ფორმასაც ჩამოისხას იგი და საერთაშორისო კულტურის მატარებელ ოჯახში თანასწორ წევრათ შევიდეს. ამიტომაც ვეწარმოებთ ჩვენ საგარეო პოლიტიკურ მუშაობას ჩვენი დამოუკიდებლობის იურიდიულათ გასამაგრებლათ. შინაურ პოლიტიკის წარმოებაში რომ სწორი გზით მივემართებით და ვიმარჯვებთ,—ეს უტყუარი ფაქტია და ასე ვფიქრობთ ყველა. სამაგიეროთ, ასე ერთნაირათ არ ვუყურებთ იმ მუშაობას, რომელსაც ჩვენი წარმომადგენლები ეწეოდნენ და ეწევიან დღესაც ევროპაში. ამ ორი სამი თვის წინათ „ერთობის“ ფურცლებზე მოთავსებული იყო წერილი (ლონდონიდან გამოგზავნილი) ევროპაში მყოფ ჩვენი მისიების მუშაობის შესახებ. წერილში უმთავრესად ის აზრი იყო გატარებული, რომ ევროპაში მყოფი ჩვენი წარმომადგენლები (ალბათ, ყველა იგულისხმებოდა) შესაფერ მუშაობას ვერ ეწევიან, რათა ჩვენი დამოუკიდებლობის იდეა გაამაგრონ და საქართველო ევროპას გააცნონ; ამ მოვლენას აუცილებლათ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოსო. არას ვიტყვით სხვა მისიების მუშაობის შესახებ, რადგან მათ მუშაობას ახლოს არ ვიცნობთ; მხოლოდ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ასეთი საყვედურები, რამდენათაც ეს ბერლინში მყოფ ჩვენს წარმომადგენლობასაც შეეხებოდა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. გაკრიტიკება და დაწუნება ამა თუ იმ მისიის მუშაობისა ადვილია; ძნელია მხოლოდ იმ პირობების ნათლათ გათვალისწინება და გაცნობა, რომელშიაც მას მუშაობა უხდებოდა. ჯერ საფუძვლიანი გაცნობა არსებული სინამდვილისა და შესაძლებლობის, რომლის ფარგლებშიაც ყოველივე მუშაობა სწარმოებს და ვითარდება და მერე დაფასება ამ მუშაობისა,—ესაა სწორი საზომი ყოველივე მოქმედების შესაფასებლათ და, სამწუხაროთ, ხშირათ არ ვიმარჯვებთ ხოლმე ამ საზომს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის სფეროში წარმოებული მუშაობის შესაფასებლათ, ამიტომაც ვფიქრობთ ამ წერილში მოკლეთ აღვნიშნოთ ერთის მხრით ის პირობები, რომელშიაც გერმანიაში მყოფ ჩვენს წარმომადგენლობას ამხ. ვლ. ახმეტელის სახით უხდებოდა ჩუმი, მაგრამ ნაყოფიერი მუშაობის წარმოება და მეორეს მხრით იმ დიდ პირველ გამარჯვების მნიშვნელობა, რომლითაც 24 სექტემბერს საბოლოოდ დაგვიგვირგვინდა ეს მუშაობა. ეს გამარჯვებაა გერმანიის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის de iure-თ აღიარება. 24 სექტემბერი დიდი ისტორიული დღეა, რომელიც ჩვენი დამოუკიდებლობის იურიდიულ ჩამოყალიბების ისტორიის ფურცლებზე აღინიშნება, როგორც დღეთ ჩვენი პირველი და მასთან დიდი გამარჯვებისა საგარეო პოლიტიკაში. ჩვენთვის კი, ვინც პირველათ ამ ცნობას საელჩოში შევხვდით, მუდამ წარუშლელი დარჩება ის სიხარულით აღსავსე შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, მხოლოდ უფრო მძლავრათ კი მათ, ვინც მთელი პროცესი მუშაობისა თვით აწარმოვეს. ჩვენი წარმომადგენლობის მუშაობა ლოღიკურათ გამომდინარეობდა ჩვენი საშინაო პოლიტიკიდან. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან საშინაო და საგარეო მოქმედება არაა ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი, არამედ ორივე მჭიდროთაა დაკავშირებული, ორთავეს ერთი და იგივე მსოფლმხედველობა უდევს საფუძვლათ და ამ მსოფლმხედველობის მიხედვით მუშავდება მეთოდი ორივე სფეროში მოქმედებისა. მხოლოდ საგარეო პოლიტიკა მოითხოვს უფრო ელასტიურ, მოქნილ და ფრთხილ მოქმედებას. ჩვენს საშინაო და საგარეო მოქმედებას სოც.-დემოკრატიული აზროვნება ხაზავს და ასულდგმულებს. ისტორიაში პირველი მაგალითია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც მთავრობა, გამგეობის სათავეში სოც.-დემოკრატია სდგას და დემოკრატიულ სახელმწიფოს მარქსისტული მსოფლმხედველობის მიხედვით აშენებს. მას არა აქვს ისტორიულ წარსულში არავითარი მაგალითი, რომლითაც შეეძლო იხელმძღვანელოს საშინაო და საგარეო მოქმედებაში. ის თავისით იკაფავს გზას და იბრძვის როგორც შიგნით, ისე გარეთ დემოკრატიულ წყობილებისა და დამოუკიდებლობის განსამტკიცებლათ. ეს ბრძოლა სოციალისტური მეთოდით სწარმოებს, რაც ჩვენი ნაციონალისტებისათვის სრულიად გაუგებარია. ბურჟუაზიული და ნაციონალისტური მსოფლმხედველობის მატარებლით ვერ წარმოუდგენიათ, თუ როგორ შეუძლია საერთაშორისო სოციალისტურ დემოკრატიას დახმარება გაუწიოს დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ საქართველოს თავის სახელმწიფოებრივ არსებობის ჩამოყალიბებაში. პირიქით,—მათ ასეთი სოციალისტური გზით სიარული საგარეო და საშინაო პოლიტიკაში დამღუპველათ მიაჩნიათ. ჩვენ გვახსოვს, რას სწერდა გაზ. „საქართველო“ წერეთელზე, რომელიც მისი აზრით, ნაცვლად მინისტრებთან და ბურჟუაზიულ მთავრობასთან დაახლოვებისა, საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესებზე დაიარებოდა და ამით ჩვენს დამოუკიდებლობას ზიანს აყენებდა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ერთად ერთი საიმედო მოკავშირე, რომელიც ჩვენს ბრძოლას გამოეხმაურება და გვერდში ამოგვიდგება დასახმარებლათ ზოგან თავისი ზნეობრივი და ზოგან კი რეალური ძალით,—ესაა საერთაშორისო სოციალისტური დემოკრატია. ეს ის ერთადერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია ომის მიერ შექმნილ ჩიხში მომწყვდეულ კაცობრიობის გამოხსნა და ცხოვრების ახალი ფორმების შექმნა საერთაშორისო დანგრეულ ეკონომიური მდგომარეობის აღდგენით და მუდმივი მშვიდობიანობის ჩამოსაგდებით. ჩვენც ამ საერთაშორისო დემოკრატიის დახმარებით გვინდა სრულ-უფლებიანი წევრი გავხდეთ კულტურის მატარებელ ოჯახისა. ამიტომაცაა, რომ ჩვენი საგარეო მოქმედების ხაზი სოციალისტური და დემოკრატიული თვალსაზრისითაა გაშუქებული.

ასეთი მეთოდი და იარაღი საგარეო დიპლომატიურ მოქმედებაში პირველათ ჩვენმა სოც.-დემოკრატიულმა მთავრობამ მოიმარჯვა და კიდევაც შესაფერ ნაყოფს აღწევს. მხოლოდ, თუ რეალურ ნაყოფს ყველაზე უფრო ადრე გერმანიაში მივაღწიეთ,—ამის მიზეზია ერთის მხრით დღევანდელი გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური ძალთა განწყობილება და მეორეს მხრით მოქნილი და პირობებთან შეფარდებული ორგანიული მუშაობა ბერლინში მყოფ ჩვენი წარმომადგენლობისა. არ უნდა ვიფიქროთ, რომ თითქოს გერმანიაში რევოლიუციის მიერ შექმნილ პირობებში სულ ადვილი იყო ჩვენი დამოუკიდებლობის de iure-თ ცნობის მიღწევა.

ჰ. ი—ვილი.

(გაგრძელება იქნება).

საყურადღებოთ ვისაც ჯერ არს

მუშათა მაგიდა. ჩვენ დღევანდლამდის ვერ გაგვიგვია—საქმე გაურბის აქაურ თანამშრომლებს, თუ თვითონ გაურბიან მას.

აქ ხშირი მოვლენაა, რომ მთხოვნელის „თავიდან მოსაშორებლათ“ პირველი მაგიდა უჩვენებს მეორეზედ, მეორე მესამეზედ და ასე, ისევ პირველ მაგიდამდის...

იყო ასეთი შემთხვევა: ვიღაც თანამშრომელი არწმუნებს მთხოვნელს, რომ კონტროლიორი გოკიელოვი სამმართველოში არ არისო მაშინ, როდესაც თვით გოკიელოვი იქვე არის, აქ შემთხვევით ხსენებული მთხოვნელი ხვდება ამხანაგს, რომელიც გაკვირვებულია რა აღნიშნულ თანამშრომლის პასუხით, უჩვენებს მას გოკიელოვზე, რომელიც იქვე მაგიდასთან თავჩაღუნული რაღაცას ფურცლავს.

აღსანიშნავია კიდევ ის, რომ სიების დამტკიცებას ორ თვეს უნდებიან და კიდევ არაფერი, რომ იგინი სამართლიანათ მტკიცდებოდეს. ერთ და იმავე დაწესებულებაში ერთი და იგივე თანამშრომელი, სათანადო მოწმობებით ერთ და იმავე ოჯახის წევრები, მტკიცდება გამოსათხოვ უწყებაში, და მეორეს კი უარს უბნევიან. ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სიები მტკიცდება იმის და მიხედვით, თუ რა გუნებაზეა სიების გადამთვალიერებელი.

გოგია გ—ძე.

ქართული თეატრი თავის განცხადებებს რუსულ გაზეთებშიაც ჰბეჭდავს: რისთვის?

რუსები ქართულ წარმოდგენებზე არ დადიან. არც იმის იმედი გვაქვს, რომ სიამოვნებით წაიკითხავენ გაზეთების განცხადებაში „Дарисанисъ Гасачири“-ს ან „Гушиндели“ ის. მაშ, რისთვის ან ვისთვის ჰბეჭდავენ რუსულ განცხადებებს?

უაზროთ ხარჯები უნდა მოისპოს!..

ა.

საგენტოს ქართული. საქართველოს დეპეშათა სააგენტომ გაზეთში დასაბეჭდათ გუშინ გვაცნობა: 1) საბჭოს სხდომაზე თვითმართველობა (და არა გამგეობა) მოხსენებას გააკეთებსო, 2) „რუსეთი ოსმალეთის თხოვნით გადისვრის ორ კორპუსსო, 3) დუბლინში დააპატიმრეს ირლანდიის რესპუბლიკის განზრახული პრეზიდენტიო.

მოიკვეხებს ქართული...

X.

დაკარგული სიცილი

(ძღვნად გრ. ურატაძეს)

ცაზე მოციმციმე წერტილები რომ სჩანან—ვარსკვლავები ჰქვიათ ხალხში. ნამდვილად კი ცის სარკმლებია... იქიდან იყურებიან ღამ-ღამით ანგელოზები... მოუნდებათ თუ არა ქვეყნის ამბის გაგება—გააღებენ ამ სარკმლებს და გადმოიხედავენ. ხანდისხან გადმოფრინდებიან კიდეც და შემოივლიან ყოველ კუთხეს.

ძარს ახლაც, მუქ იისფრად რომ ჩამოწვა ღამე—გადმოიშვნენ და იწყეს რჩევა, თვითეულმა რა გააკეთებინა.

თუ ადრევ ყველა ანგელოზის სახე შუქურასავით ჰკრთოდა და ციალებდა—ახლა სიმძიმილის ჩრდილი ურავდებდათ.

— აბა ვინ სად წავა?—იკითხა უფროსმა ანგელოზმა და თვითვე ეოცა. რაღაც უცნაურად უკანკალებდა ხმა.

— მე ნესტიან სარდაფებს ჩამოვივლი. სიყვარულით მივესალმები დუშმან ცხოვრებისაგან გამწარებულებს. შვების ყვავილებად გარდაუქმნი ცხარე ცრემლებსა...

— მე ქალაქს ქუჩებს დავივლი. მოვძებნი უბინაოდ მოლასლასეებს. ყველას შემოვიხვევ მკლავს, ვით მოყვარული მშობელი. ჩავიხუტებ გულში და დავუშუშებ მომტირალ სულს... დავუშუშებ ყინვისგან გაარჯულებულს იარებს...

— მე საპატიმროში შევივლი და სიხარულის მიუღწეველ შარავანდედით გავუნათებ ბნელს სენაკს მზის მოტრფიალეთ...

— მე ვინახულებ უიმედო სიყვარულით დასნეულებულს ქალწულს. უმღერებ სიმღერებს ალერსის გაუმეორებელ ნეტარებისას და მოვფენ ლაჟვარდოვან სიზმრებს სიყვარულის ოქროს ბორკილებზე...

— მე...

— ეჰ, დაიცათ, დაიცათ! მაგ ფარეზით ვეღარავის უშველით... ახლა არამც თუ უბედური—ბედნიერებიც აღარ არიან

---

*) ფული მივიღეთ. რედ.

მხიარულნი... ამისი მიზეზი კი ისაა, რომ მათ აკლიათ, მათ დაუკარგნიათ ის, ურომლისოდაც ამაოა სიცოცხლე და სიხარული.

— რა, რა მოჰხდა, რა დაჰკარგა ხალხმა?—გაოცებით შეეკითხენ ანგელოზები უმცროსს დას, რომელიც ძალზე გაცრეცილიყო, ფითრს დამსგავსებოდა...

— რაა და სიცილი აკლია ხალხსა, უზადო სიცილი!..

— ვაი ჩვენს თავსა, სიცილი გადაკარგულა სადღაც—შეჰკივლეს ელდანაკრავებმა...

მხოლოდ ეხლა მ. ჰხვდნენ, რომ დიდი ხანია რაც ღიმილად შეჰხვედრიათ გულმკრე გოგონა, რომელსაც სიცილს ეძახდენ...

— ჩვენ თვალ დამდგრებმა აქამდის როგორ ვერ შევიჩნიეთ უმისობა? რა კისკისა, რა ღლუტუნა რამ იყო. როცა დაიწყებდა თამაშს, ისეთი მომხიბლავი ჰხდებოდა, რომ ქვებსაც კი სიცოცხლის მურაზით აანცქალებდა...

— კარგია, დაიცო, ჩივილით რა გაგვწყობა? ძებნას შევუდგეთ .. ეგება სადმე ულრან ტყეში დაიკარგა. ონავარი რამ იყო. უნდოდა ყველგან მისულიყო, ყველა გაემხიარულებინა.

რამდენჯერ მითქვამს:

— აბა, ჯანჯო, ე ტყე ღრეში რა დაგრჩენია? მუხლები მაინც არ გენანება?—როგორ თუ რა დამრჩენია?—წყნით უპასუხნია.—ეგება ვინმე მგზავრს გზა აერია. ვინ უნდა გაიყვანოს და გამოიყვანოს შარაზე, თუ არა მე.—ხოდა იქნებ ეხლაც ვისმეს სახსნელად შეიჭრა სადმე ტყის სიხშოში და გზა ვეღარ გამოაგნო. დავფაცურდეთ. მთელი დუნია შევძრათ და ვიპოვნოთ.

ფაცა-ფუცით გაემართნენ ტყისკენ. ბევრი სძებნეს, ბევრი უძახეს, მაგრამ გამოხმაური ვერსაიდან მიიღეს. ან რა გააჩერებდა სიცილს იქ, როდესაც თვით ხეებიც კი შიშს შეეპყრო და უცნაურ ლანდებად სცახცახებდენ..

— რრხხ... რრხხ... რრხ...—ეცმად იწყეს გრიალი შავად პირდაღრენილ ზარბაზნებმა.

— წწუუუ .. წწუუ .. ზზუუუ ..—ზუზუნით ზანი მისცეს ტყვიისმფრქვევლებმა.

— ბუჰ... ბუჰ... ჰხბ... ჰხბ!..—აჭექდენ ყუმბარები.. ისეთი წიმები გამეფდა, თითქოს მთელი ჯოჯოხეთი ამხედრებულა და მთიდტეის ცა-ქვეყნის შესამუსრადო.

— ვაი, ვაი, ვაი, გვიშველეთ .. გვიშველეთ... ვიწვით, ვიღუპებით...—მოარბენა ქარმა განწირული ვიშ-ვიში და წიოკი.

გამოჩნდა დაფეთიანებული ხალხი, რომელიც თავპირის მტვრევით მორბოდა და მობღაოდა, როგორც ყელგამოლადრული საქონელი...

საშინელება ხდებოდა... მთელს მხარეს ცეცხლი მოსდებოდა და აჩანაგებდა ყველაფერს...

კარგა ხანს ზუზუნებდნენ ტყვიისმფრქვეველნი. ვახვახებდნენ ზარბაზნები...

ანგელოზებს გულის შემზარავი სანახაობა გადაეშალათ...

ტრიალს ველზე ქვიშასავით უანგარიშოდ ეყარა დაგლეჯილ-დაცხადებული ხალხი...

ირი-მარც დასახიჩრებულთა გვამებით ამთაგორებულიყო.

გვამების ყველაზე მაღალს ზვინზე აღმართულიყო უზომო, მაკლაკუნასავით საზიზღარი რაღაც სახება და ხითხითებდა...

დააკვირდნენ ანგელოზები უმორჩილეს სახებას, რომლის მსგავსს ჯოჯოხეთის ოცნებაც ვერ წარმოშობდა და იცნეს...

იგი ომი იყო...

მას გამორეტაცნა გულმკრე სიცილი და დაეპატიმრებინა ზარბაზნების ხლედით შორის...

ანგელოზები განარდნენ... ცვეთნენ საზიზღარს, მაგრამ წორმაც ვერ შეუხარეს... ვერ გამოგლიჯეს დატყვევებული სიცილი...

იგი იდგა მორჭმული, შეუდრეკელი და სიკვდილის დროშის ფრიალით, ჯოჯოხეთურ სიმღერით გადასცქეროდა კაცთა გვამების სერებს...

ისეთი ღრიანცელი გაისმოდა, თითქოს ეშმაკებს ხელში ჩავარდნოდეთ ცოდვებით დამძიმებულ-გათქვირებული ჰორ-ეპისკოპოსი და მას სტაცებდნენ ერთი-ერთმანეთს შესანსვლად...

დ. თურდოსპირელი.

ერობა და ქალაქი

შორაპნის სამაზრო ერობა.

ერობის საზრატე სადგური უკვე შეუდგა მუშაობას, რისთვისაც ყოველივე საჭირო იარაღები მზად არის. საქმეს მეტად აფერხებს მხოლოდ პირუტყვთა ხაკვების უქონლობა. აღძრულია შუამდგომლობა ერობათა კავშირის წინაშე ერთი თუ ორი ვაგონი თივის დათმობის შესახებ. ერობა დარწმუნებულია, რომ ერობათა კავშირი ამ მხრივ ხელს შეუწყობს მას ამ მნიშვნელოვან საქმეში.

გამგეობამ გადასწყვიტა სამჭედლო, საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოს მოწყობა, რისთვისაც შეიძინა საჭირო იარაღები და მოწყობილობა. ამ დღეებში ამუშავდება სამჭედლო და საზეინკლო განყოფილება.

ერობამ უკვე შეიძინა რამდენიმე მილიონ მანეთად ღირებული რკინის მასალები მდ. ჩოლაბურზე ხიდის გაკეთებლათ. რკინის ნაწილის აწყობაში კერძო პირებმა ერობას რამოდენიმე მილიონი მანეთი სთხოვეს. ამიტომ გამგეობა ფიქრობს ყველა ეს სამუშაო შეასრულოს ერობის სახელოსნოში, რისთვისაც საჭირო იარაღები უკვე შეძენილია.

ამ დღეებში ერობამ მოიწვია თემთა წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც განიხილა მთელი რიგი სერიოზულ მნიშვნელობის საკითხებისა, რომელთა შესახებ ყრილობამ მიიღო სათანადო დადგენილებები.

ერობამ დიდი თოვლის გამო მუშაობა შეაჩერა ახლად გაყვანილ ზესტაფონ-მუხურის გზატკეცილზე (რომლის სიგრძეც 35 ვერსს უდრის). თოვლის აღების შემდეგ ერობა ფიქრობს ამ გზაზე მუშაობის განახლებას, სეგზაო ნატურალურ ბეგარის კანონის თანახმად.

San

ს.-დ. პარტიაში

ნავთლუღი. 23 დეკემბერს შესდგა მე-7 რაიონული კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა. კრებამ მოისმინა მოხსენება სამხედრო ჰოსპიტალის მდგომარეობის შესახებ, გაეცნო ექ. ლულაძის მოქმედებას ზოგიერთ გაძევებულ პირების მიმართ და გამოიტანა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: კოლექტივი უკანასკნელად ითხოვს ვისგანაც ჯერ არს, რათა ნავთლუღის რაიონიდან გადაყვანილი იქნას ბ-ნი ლულაძე და აგრეთვე მოყვანილი იქნას სისრულეში შინ. საქმ. სამინისტროს დადგენილება. წინააღმდეგ შემთხვევაში კოლექტივი დარწმუნებულია, რომ ამ დაწესებულებაში ყოველთვის გამეფებული იქნება ინტრიგა, პროვოკაცია, ანარქია.

რომ მომავალ უქმეების გამო მუშაობა არ შეფერხდეს, კრებამ გადასწყვიტა 29 დეკემბრისთვის მოიწვიოს ორგანიზაციების გაერთიანებული კრება, სადაც გამომუშავებული იქნება გეგმა მუშაობისა.

ვ. დეხელი.

გორი. 21 დეკემბერს შესდგა პირველ რაიონის წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო ასამდე წევრი. კრებაზე მოხსენება გააკეთა სოციალიზმის შესახებ ამხ. ათანასე ქვარიძემ მოხსენება მეტად შინაარსიანი იყო. კრებამ სურვილი გამოთქვა, რათა ხშირად იმართებოდეს მოხსენებები, მეცნიერულ და თანამედროვე თემებზე. კრების დღეთ დაინიშნა სამშაბათი.

ახალ გორელი.

— ს. ს. დ. მ. პარტიის მე 3 რაიონის კოლექტივი აწყობს ახალ-გაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას. ხ'ენებულ მარქსისტთა ცენტ. კომიტეტიდან უკვე დანიშნულია მუდმივი მომეცადინე ამხ. მიხეილ კვატაშიძე. მსურველებს მოეწოდებათ ჩაეწერონ ხსენებულ კოლექტივის მდივანთან.

მუშათა შორის

თფილისი. სამი თვეა რაც პურის დამზადების საკითხი მეტად მძიმეთ დგას და მომარაგების სამინისტროს არა აქვს საშვალება ერთი ან ორი კვირის სარჩო წინდაწინ მისცეს რკინის გზის სასურსათო კომიტეტს. ამისათვის სასურსათო კომიტეტი გზავნის ფქვილებს ყოველ დღიურად სამგზავრო მატარებლით და აგრეთვე ყოველ დღიურათ ღებულობს სურსათს. ასეთი მდგომარეობა მეტად მძიმე შეიქნა, რადგან გადამზიდავი დროგები კომიტეტს არ ყავდა გარდა ავტომობილებისა. დღეს ბენზინის უქონლობის გამო ავტომობილები გაჩერდენ. გაიგეს თუ არა ეს მედროგეებმა, ნაცვლად ოთხი ხუთი თუმნისა ფუთის გადასატანი სფასური აუწიეს ასი ასოც მანეთამდე. და რასაკვირველია, დროგებს თავის დროზედ კომიტეტი ვერ შოულობდა, რადგან მედროგეები იქ მიდიოდენ ვინც მეტს მისცემდა და ასეთ შემთხვევებში ისინი უმეტესად ვაჭრებს ყავდათ დაქირავებულნი. და კომიტეტის სურსათის გადმოტანა უკანა რიგში იყო დაყენებული. ასეთმა გარემოებამ ხელი შეუშალა კომიტეტს და თავის დროზე მუშა მოსამსახურეთ პური ვერ მიაწოდა. 14 დეკემბერს კომიტეტმა ხელშეკრულება დასდო ვინმე მედროგეთა წარმომადგენელთან აზისა ალი-ოღლისაგან, რომელმაც იდო თავს ყოველ საჭიროებისათვის კომიტეტისთვის მიეცა დროგები და შეუდგა კიდეც მუშაობას. სამი დღის შემდეგ გაიგო თუ არა ეს თფილისის სადგურის მედროგეთა კავშირის წევრმა კალ. ჩემიამ ძლიერ იწყინა. აგრეთვე ავლაბრის ბირჟის მედროგეთა წარმომადგენელი ერვანდა არაქელოვიც გამოეცხადა კომიტეტს და ითხოვა, რომ კომიტეტს დაეთმო მათთვის ეს საქმე, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, განუზრახავთ სხვა ზომებისთვინაც მიემართათ და ამით ხელი შეეშალათ კომიტეტის მუშაობისთვის. ამ მიზნით კალისტრატე ჩემიამ სამი შეიარაღებული კაცით, რომლებიც გვარდიის სახელით მოქმედებდენ, 17 დეკემბერს, შეეცადა დატვირთული დროგები კომიტეტისა გადაეცვალათ და თავიანთვის წაეყვანათ, მაგრამ რადგან ეს იყო სადგურ თფილისის რაიონის ახლო, მათ ვერ გაბედეს ძალით წაეყვანათ კომიტეტის დროგი. რადგან ბატონ კალ. ჩემიას რიგში ჰყავდა თავისუფალი დროგები ორმოცზე მეტი. შეარაღებულები კალ. ჩემიას მეთაურობით გაემგზავრენ ავლაბარში, სადაც კომიტეტის დროგები ხორბალს და ფქვილებს ეზიდებოდენ. მიუვარდენ კომიტეტის წარმომადგენელს ვ. ურუშაძეს და ჩუტლაძეს უბრძანეს მიეტოვებიათ ფქვილების დატვირთვა. წარმომადგენლებმა მათ წარუდგინეს მოწმობები. ბატონმა ჩემიამ უბრძანა შეიარაღებულთ, ეცემნათ და დაეჭირათ ყველა მედროგეები და კომიტეტის წარმომადგენლებიც და გარეკათ დროგები. რასაკვირველია შეიარაღებულები მიიწევდენ მუშებისკენ. წარმომადგენლებმა უშველეს თავს და შეატყობინეს კომიტეტს. დროგები გარეკეს და კომიტეტის ფქვილები დარჩა გადმოუტანელი, რამაც გამოიწვია შეფერხება 17 დეკ. ხაზზე მატარებელ № 7 ფქვილების გაგზავნა ქ. ქუთაისში დარჩა უპუროთ 19 დეკემბრისათვის. ამის ადასტურებს ქუთაისიდან მოსული დეპეშა № 13871. ამის შესახებ კომიტეტმა მიმართა თფილისის მილიციის უფროსს დასახმარებლად. მილიციის უფროსმა მიიღო ზომები. გააყოლა კაცი კომიტეტის წარმომადგენელს და ბ-ნ ჩემიას წერილობით მოთხოვა დროგები კომიტეტის ფქვილების გადასატანათ საქონლის სადგურში. ბატ. ჩემია არ დაგვხდა, მის მოადგილე ბატ. ნარსიამ, რომელიც აწერიგებდა დროგებს, არ ინება ყურადღება მიექცია კომიტეტის საჭიროებისათვის. როდესაც მე-7 კომისარიატის მილიციონერი კუნჭაძე მოითხოვდა დაჩქარებით 15 დროგი წასულიყო, იმ დროს ბატ. ნარსიამ ჩუმათ გადაუჩურჩულა სხვა ამხანაგებს, რათა ჩუმათ გაპარულიყვნენ სადგურიდან და კიდეც შეეცადენ ამას. ამ დროს დამნაშავენი იქნენ დაჭერილი და წარდგენილი თფილისის სადგურის მილიციის უფროსთან. ეხლა არ ვიცი როდის რა იქნება და როგორ გათავდება ეს საქმე. კარგი იქნებოდა ამ საქმეს მიექცევდენ ყურადღებას ყველა პასუხისმგებელი ორგანიზაციები და მოსთხოვდენ პასუხს დამნაშავეს, რათა მათი მოქმედებით მუშა მოსამსახურენი უპუროთ არ დარჩნენ. ასეთ პირობებში მუშაობა ყოვლად შეუძლებელია. საჭიროა მიექცეს ამას ყურადღება.

მეზაზავი.

ნავთლუღი. 22 დეკემბერს შესდგა სოციალურ დამხმარე საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სხდომა.

არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ: თავმჯდომარეთ—ამხ. ბოკერია, მდივნათ—პ. სარჯველაძე; უკანასკნელს დაევალა აგრეთვე მოლარის მოვალეობის ასრულება. ჩვეულებრივი კრებები მოხდება პარასკეობით 4 საათზე. ცენ. გამგეობაში არჩეული იქნა ამხ. სარჯველაძე.

ცენტრალურ გამგეობიდან გაკეთებულ იქნა მოხსენება სამოქმედო გეგმის შესახებ. გადასწყდა გასცენ მოწოდებები, რომლებშიაც განმარტებული იქნება საზოგადოების მნიშვნელობა და სხვ.

პ. დეხელი.

ღრმეს მადლობას ვუცხადებ საბურთალოს მუშათა კლუბის გამგეობას და სცენის მოყვარეთ: ვ. ჩიქოვანს, ლ. ფულარიას, მიღრაძეს, სიამაშვილს, დოლიძეს და ბასილაშვილს, რომელთაც კეთილ ინებეს და საბურთალოს მეორე ქალაქის სკოლის მოწაფეთათვის საბურთალოს თეატრში 19 დეკემბერს გამართეს უფასო საბავშო წარმოდგენა.

სკოლის გამგე ვ. ბოკერია.

პროვინცია

გაგრა. ადგილობრივი მილიცია დიდ უმოქმედობას იჩენს, რის გამოც ძირი გადგა თვითნებობამ. მაგალითისათვის მოვიყვან შემდეგს: კლ. სადგურმა დაითხოვა სამსახურიდან ესა თუ ის მოსამსახურე. მოსამსახურემ უნდა დასცალოს ბინაც, მაგრამ ურჩობს და ბინის დაცლაზე უარს ამბობს. ასეთ შემთხვევაში კლ. სადგურის სამმართველომ უნდა მიმართოს მილიციას, მაგრამ მილიცია მიმართვას ყურადღებას არ აქცევს და იძლევა პასუხს „უბედოთ არ შეიძლება“... ამით ფერხდება საქმე, რადგანაც დათხოვნილ მოსამსახურის ადგილზე მიღებული მოსამსახურე უბინაოთ რჩება. მილიციის უფროსმა კარგათ იცის, რომ მის მოვალეობას შეადგენს ასეთ შემთხვევებში მიიღოს დაუყოვნებლივი ზომები, მაგრამ მას რესპუბლიკის ინტერესების დაცვა სრულიად არ აწუხებს, რადგანაც პასუხის მომთხოვი არავინ არის. გუდაუთის მილიციის უფროსმა სალუქვაძემ დააპატიმრა გაგრაში მოქ—ნი მერიამენ პელიძე და სვანიძე. შეიქნა მითქმა-მოთქმა. სალუქვაძე ამბობდა, რომ მას აქვს სოხუმის საგანგებო რაზმიდან სათანადო განკარგულება. დატყვევებულები სალუქვაძემ გაგზავნა ხუთი მილიციონერების თანხლებით სოხუმში.

ისინი მიიყვანეს სოხუმის საგანგებო რაზმში. საგანგებო რაზმის უფროსი გაოცდა: აღმოჩნდა, რომ პელიძისა და სვანიძის დაპატიმრების შესახებ არავითარი განკარგულება არ ყოფილა. უდანაშაულოთ დაპატიმრებულნი შემდეგ გაანთავისუფლეს. ამრიგათ გუდაუთის მილიციის უფროსმა სალუქვაძემ მშვიდობიანი მოქალაქენი შეურაცხყო დაპატიმრებით და დიდი ხარჯი მიაყენა მათ. ამბობენ, რომ გუდაუთში სალუქვაძეს დაპატიმრებულთათვის უთხოვია „ხელის ჰუჭყი“, მაგრამ უარი მიუღია. სალუქვაძე დღესაც მსახურობს. მისთვის პასუხი არავის არ მოუთხოვია. მილიციონერებიც ამის გამო თავგასულები არიან. გაგრაში დადიან დუქნებში—ცალ ხელში ბოთლით არაყი, მეორე ხელში—რევოლვერი და სროლით შიშის ზარსა ჰგვრიან მშვიდობიან მცხოვრებლებს.

უყურადღებოთ მიგდებულ გაგრის კუთხეს დაპატრონებია სპეკულიანტები. ტყის გამგეს მჭედლიძეს მჭიდრო კავშირი აქვს მათთან. იგი ყოველ ღამით კარტს თამაშობს და ბევრ ფულებს აგებს, რაც გაკვირვებას იწვევს მცხოვრებლებში,—თუ სად აქვს ამდენი ფულიო.

2 ოქტომბერს ტყის ინსპექტორის პროფ. ქურდიანის მეთაურობით გაუკეთეს მას რევიზია. აღმოჩნდა, რომ ტყის გამგეს მჭედლიძეს ჩაუდენია ბევრი ბოროტმოქმედება. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ მჭედლიძეს სპეკულიანტ კეჭეყმაძისთვის მიუცია ბზის გაჩეხის ნებართვა. საბუთებში ჩაუწერია, ვითომ კეჭეყმაძეს ეძლევა ნება 50 ფუთი ბზა მოსჭრას, მაგრამ კეჭეყმაძეს კი მოუჭრია ცაცილებით: 500 ფუთი ბზა. გაუგზავნია ბათუმში მატივერჩისთვის და 13.000 ფუთი ტყეში დაუწყვია გასატანად. რევიზორებმა ბზა დააკავეს. ტყის გამგე მჭედლიძე დაატყვევეს. კეჭეყმაძე, რომელმაც ასე დიდი ზარალი მიაყენა რესპუბლიკას, თავისუფლად დადის, არავინ პასუხს არ აგებინებს. პირიქით, როგორც ამბობენ, საქმე მის სასარგებლოდაც კი მოუწყვია ვილაც პირტახის აულია სამინისტროდან დაკავებული 18,000 ფუთი ბზის ზღვის პირზე გამოტანის უფლება—200 მანეთად ფუთი. პირტახი აგენტი არის კეჭეყმაძისა. ამნაირათ კეჭეყმაძე, რომელიც უნდა ციხეში იჯდეს ბზის უნებართვოთ გაჩეხისათვის,—საქმეს აკეთებს და შემდეგ, შეიძლება, მანვე მოახერხოს იმავე ბზის გაცოცხებაც. სამინისტროს დაკავებულ ბზის გამოსატანათ უნდა დაინიშნა შეჯიბრება; დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ შეჯიბრებით ისარგებლებდა გაგრის მცხოვრებლები. ბზის გამოტანას მაგ გვარდიელები გაცილებით ნაკლებ ფასებში აიღებდენ, ვიდრე ეს კეჭეყმაძის აგენტს მოუწყვია სამინისტროში (200 მ.×13,000=2 600,000 მ.) მეტი ყურადღების მიქცევაა საჭირო ასეთ საქმეებისათვის.

ბუკი.

საგარეჯო. საუცხოვოთ იქნა ჩატარებული საგარეჯოში 12 დეკემბერი. ხალხმა დილიდანვე იწყო დენა დანიშნულ ადგილისაკენ. სოფლის შტაბი საუცხოვოთ იყო მორთული. მორთული იყო აგრეთვე ფრონტზე დახოცილ გვარდიელთა სასაფლაოც. ხალხმა თავი შეიყარა სკოლის ეზოში და აქიდამ გაეშურა დახოცილ გვარდიელთა სასაფლაოსაკენ. აქ ივანე ქაიხოსროშვილმა გახსნა კრება, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს, რაჟდენ ჯანდიერმა, ცინცაძემ და სხვებმა. საღამოს ი. ანუაშვილის რეჟისორობით ადგილობრივ თეატრში წარმოდგენილ იქნა „გაყრა“, რომლისგანაც წმინდა შემოსავალი იყო 26,000 მან.

გ. მოყურა.

ქ. სურამი. წელს აქეთ მოსავალი კარგი იყო. მიუხედავად ამისა, პურნახულის ფასმა სურამის ბაზარზე საგრძნობლად აიწია. ასეთი სიძვირე აუტანელ მდგომარეობაში აგდებს როგორც ქალაქის მუშებს, ისე ხელ-მოკლე მოქალაქეებსაც.

ი. გაგოშიძე.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ განვაცხადო შემდეგი: რატომღაც ვიღაცეებს, არ ვიცი რა მიზნით, დასჭირდათ ამხანაგების, ნაცნობების და სხვა წრეებში გაევრცელებიათ ხმები, თითქოს მე სამსახურის ჯეროვნად შეუსრულებლობის გამო დამეთხოვეთ თანამდებობიდან (აბაშის გვ. შტაბის თავმჯდომარეობიდან). მართალია შემდეგი: ორი წელია, რაც მე ამ მოვალეობაზე უფრო იდეიურ ხელმძღვანელობას ვეწევ აბაშის გვარდიას. არა ერთხელ მოვინდომე წასვლა, მაგრამ ანგარიში გავუწიე ერთის მხრით რესპუბლიკის მდგომარეობას, მეორე მხრით ჩემის ინიციატივით დაარსებულ გვარდიის გვარდიელების თხოვნას და გადავსწყვიტე ამ თანამდებობაზე ორი წლის გატარება. მესამე წელსაც დარჩენა არ მქონდა განზრახული, რადგანაც ჩემი ტოლი სტუდენტები თითქმის ამთავრებენ უმაღლეს განათლებას და ჩემთვის დროულად ჩავთვალე ამ წელში მაინც სწავლის გაგრძელება. ამავე დროს შევნიშნე, რომ გვარდიის იდეიურ ხელმძღვანელობასთან ერთად, დღევანდელ მის განვითარების პროცესში, სჭირდება მაგარი სამხედრო ხელი, რაც სავსებით აღემატება ჩემს მოწოდებას.

ამის გამო ენკენისთვიდან ყოველ დღე ველოდი არჩევნებს, რომ ადგილი დამეთმო უფრო შესაფერისთვის. ეს უკანასკნელი (არჩევნები) კი გაჭიანურდა და ბოლოს, მობილიზაციის გამო სულ გადაიდო. ამან კი მაიძულა პირდაპირ შევმუდარებოდი ადგილობრივ ამხანაგებს, სოფლის და მთავარ შტაბს, რომ გავეთავისუფლებინეთ თანამდებობიდან. ჩემი შუამდგომლობა 19 ნოემბერს დააკმაყოფილა მთ. შტაბმა, ხოლო გვარდიელების სურვილის თანახმად, სანამ მაგიერ თავმჯდომარეს გამოგზავნიდენ, მობილიზაცია მე ჩავატარე.

უნდა ავსოვედეთ ჩემს ფარულ მოწინააღმდეგებს, რომ ჩემ მიერ დატოვებულ თანამდებობაზე არა ნაკლებ (მართალია, უჯამაგირო!) საპატიო ადგილები მეჭირავს.

ამავე დროს, სანამდის საშუალება მექნება, არასოდეს არ გავექცევი ჩემთვის საყვარელ გვარდიის სამუშაოს და ახლაც ვარ აბაშის რაიონულ და სამეგრელოს სოფლის შტაბების საპატიო წევრი.

სტუდ. **არტემ ფანცულაია.**
11 დეკ. 1920 წ.

მოქალაქე რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით, ჩემდამი რწმუნებულ მესამე ქვეითა ათასეულის სახელით, ულრმესი მადლობა უძღვნა ბათომის მოქალაქეს ბ. სერ. ყუფერაძეს, რომელმაც შემოსწირა ათასეულს ერთი კუბიკური საჟენი შეშა.

მესამე ქვეითა ათასეულის უფროსი პოლკოვნიკი **ჯაფარიძე.**

ცნობები

ჯარისკაცი გიორგი გველესიანი მსახურებდა მერვე ქვეითა ათასეულის პირველ გუნდში და უკანასკნელი მისამართით აგვისტოს 19-ის რიცხვში იმყოფებოდა სად. შულავერში, მას შემდეგ არავითარი ცნობა არა გვაქვს, თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, სთხოვს მარტოდ დარჩენილი დედა შეგვატყობინოთ ამ მისამართით: სად. ძირულა, ონიფანტე პ. გველესიანს.

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს.
(3108—1—1)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—12 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 12—1 ს. დღის. 5—6 საღ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 22—თებ.

ყოფ. გიმნაზ. დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
ამზადებს
ყველა საშუალო სასწავლებლის 1—8 კლ. შესასვლელად, აქვე არსდება საღამოს ჯგუფი ოთხი კლასის მოწმობის მისაღებად, ჩ წერვა 9—12 ს. 4—6 ს. პლეხანოვის და ალექსის ქუჩ. კუთხე № 25/5. (4091—4—4)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
12—იანვ

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკერიასი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროჟექტორ „აპოლოს“ მახლობლად ტელეფ. № 5—97 დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—დეკ.)

ქალი ექიმი
მარიამ ლუკას ასული
თოფურიძე-პანიევი
იღებს საზებიო და ქალის სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათ. ველიამინოვის ქ. № 10, ტელეფ. 12—66. (2 იანვ.)

ექიმი **გ. ა. შაფირანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. ცალკეობით მთავარ დილით. მისამართი ქ. № 23. (7 იანვ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ჟორდანიოვის ქ., 29, ტელეფ. 7—91 (1—იანვ).

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

კერძო სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606“ და „914“.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დეკ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნდისკოპია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით (პარალელურად). მიღება დილით 10—11 ნახ. ს. საღ. 5—7 საათამდე. 15—იანვ.

ექიმი
ე. ი. ქალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მთაწმინდის დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (7—იანვ.

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914“ და „606“ შეშხაპუნება) კანის, ვენერიული და საშარდო-სასქესო ავათმყოფობანი. ავათმყოფების მიღება დღის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35. სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი).
(1 იანვ.)

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20. (5 იანვ.)

სახლი,
მამული, აგარაკი
ყიდვა-გაყიდვა
აქვს დიდი კლიენტურა,
დავითის ქ. № 3, ბინა 2, გოლოვინის პროსპექტის ახლო
თფილისი.
„ინტელიგენტთა ჯგუფი“.
(4136—2—1)

საჭიროა
თფილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზიისათვის
რემინგტონისტკა
საშუალო სასწავლებელ დამთავრებული, მცოდნე სახელმწიფო ენისა. თხოვნები მიიღება 10—12 საათამდე. (4113—2—2)

საკუთარი სტამბა გრიბოედოვის ქუჩა № 4